# სარბიელი

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 31 იანვარი 2002 №13 (1535) ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა

# მართლა რომ გააფრინონ...




მიმინო 2: ალექსანდრე ჩივაძე დიდ ავიაციას დაუბრუნდა

## რუსებმა თადარიგის კაპიტანი ალექსანდრ ჩივაძე გაიხსენეს

**საქართველოს** ნაკრების მწვრთნელი ალექსანდრე ჩივაძე 11 თებერვალს რუსეთის ნაკრებს შეეხიზნება.

საქმე ასეა: 25 იანვარს პორტუში ევროპის 2004 წლის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩების წილისყრის შემდეგ მეათე ჯგუფის ნაკრებთა მწვრთნელები სამომავლო კალენდარზე მოსალაპარაკებლად დასხდნენ. ბევრი არ უსაუბრიათ. ირლანდიელებმა თქვეს, რუსებმა მოიწონეს და დანარჩენი სამიც დაიყაბულეს — 13 თებერვალს ირლანდიამ რუსეთს უნდა უმასპინძლოს და ვისარგებლოთ შემთხვევით, შესარჩევი ჯგუფის კალენდარზე დუბლინშივე 15 თებერვალს შევთანხმდეთო.

25 იანვარსვე ალექსანდრე ჩივაძემ „სარბიელს“ უთხრა, იმედია, შეხვედრის ადგილი, კალენდრის შედგენაზე გავლენას არ მოახდენსო. ჩივაძემ ისიც თქვა, შესაძლებლობას ხელიდან არ გავუშვებ და 13 თებერვლის მატჩისას მეტოქეებს დავზვერავო.

ამასობაში კი რუსეთის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტმა ვიაჩესლავ კოლოსკოვმა განაცხადა, ჩივაძეს რუსეთის ნაკრებთან ერთად შევთავაზეთ ირლანდიაში გაფრენა და ამის წინააღმდეგი არც საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია არისო.

რას იტყვით, როგორი საქმეა, 11 თებერვალს საქართველოს ნაკრების მწვრთნელი ალექსანდრე ჩივაძე მოსკოვ — დუბლინის ჩარტერული რეისით რუსებს რომ დაემგზავროს (თუნდაც სფფ-ის ხარჯით)?

წუხელ სწორედ ამის თაობაზე დაკავშირებით შევეხმიანეთ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალურ მდივან ვალერი ჩოლარიას, რომელმაც, ირლანდიაში ჩივაძის რუსებთან შეუამხანაგებლად წასვლა, ცოტა არ იყოს, ზღაპარივით აგვიხსნა. გენერალური მდივნის თქმით, ირლანდიაში 13 თებერვლამდე გაფრენას ჩივაძე სავიზო პრობლემის გამო ვერ აზერხებს. აქაოდა, ირლანდიაში მრავალჯერადი ევროვიზით ვერ ჩახვალ და საამისოდ საქართველოს მოქალაქემ ირლანდიის საელჩოს მოსკოვში უნდა მიაკითხოსო. თბილისში კი თურმე, ირლანდიაში წამსვლელთათვის ანკეტები აღარ ყოფილა, ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით.

— პორტუდან თბილისში 26 იანვარს ჩამოვედით და უქმეები დაემთხვა. ორშაბათსვე ჩივაძის ირლანდიაში დროულად გამგზავრებაზე დავიწყეთ ზრუნვა. რა გამოგვივა, ჯერჯერობით ვერ გეტყვით, ჩვენი კაცი უნდა გავგზავნოთ ანკეტების ჩამოსატანად, ეს ანკეტები უკანვე უნდა მივაწოდოთ ირლანდიის საელჩოს, რომელიც შაბათ-კვირის გარდა სხვა დღეებშიც უქმობს, თანაც იქ უშველებელი რიგია. მოვასწრებთ? ჩვენ ვეცდებით და არც ხარჯებს ვერიდებით, თუმცა, ჩემი აზრით, პრობლემა არ არის, ჩივაძე თუ ირლანდიაში რუსებთან ერთად გაემგზავრება.

აი, ასეთია საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალური მდივნის ვალერი ჩოლარიას განმარტება ამ საკითხთან დაკავშირებით.

დავიჯეროთ, ფეხბურთის ფედერაცია, რომელსაც ეროვნული ნაკრების პორტუგალიაში, ევრო-2004-ზე მოხვედრა მილიონ დოლარად უღირს, 25 იანვრიდან 13 თებერვლამდე ვერ მოახერხებს მწვრთნელის ირლანდიაში სხვათა დაუხმარებლად მივლინებას..?

**ქობა ინასარიძე**

# მიხაელს მიქელ-გაბრიელიც ვერ ეწევა

FORMULA 1

გუშინ ბარსელონაში მორიგი ვარჯიშისას ავარია შემთხვა მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონ მიხაელ შუმახერს. მისი „ფერარი“ 220 კმ/სთ სიჩქარით ეძგერა ტრასის დამცავ ბარიერს და თითქმის მთლიანად დაიმსხვრა. საბედნიეროდ, მრბოლი არ დაშავებულა, თუმცა ერთხანს შოკში იყო.
თავს ახლა კარგად კი ვგრძნობ, მაგრამ ყველაფერი ისე სწრაფად მოხდა, ავარიის მიზეზს ჯერაც ვერ მივმხვდარვარო, განუცხადა ჟურნალისტებს ჩემპიონმა ნავარიევს.



REUTERS

მიხაელ შუმახერი აბოლებული და ჯართადქცეული „ფერარიდან“ უვნებელი ამოვიდა

## ინგლისი

**პრემიერლიგა. XXIV ტური**

ასტონ ვილა 0:0 ევერტონი
ბლეკბერნი 2:3 არსენალი
იფსვიჩი 1:0 ფულემი
საუთჰემპტონი 2:0 ვესტ ჰემი
ტოტენჰემი 1:3 ნიუკასლი
ჩელსი 2:0 ლიდსი
ლივერპული 1:0 ლესტერი

**პირველი დივიზიონი XXXI ტური**

მანჩესტერ სიტი 2:0 მილუოლი
ნოტინგემი 0:1 პორტსმუთი

**მეორე დივიზიონი გადადებული მატჩი**

კოლჩესტერი 1:3 სუინდონი

## საფრანგეთი

**პირველი დივიზიონი XXIII ტური**

მონაკო 3:1 ბორდო
ოსერი 1:0 ბასტია
მეცი 2:4 გენგამი
მარსელი 2:1 სედანი
რენი 2:0 მონპელიე
სოშო 0:2 ლანსი
პსჟ 5:0 ლორიანი
ლილი — ტრუა გადაიდო

**მეორე დივიზიონი XXV ტური**

სენტ ეტიენი 2:1 ამიენი
ლე მანი 2:3 გენიონი
შატორუ 1:0 ნიცა
კრეტეი 2:1 მარტიგი
გრენობლი 2:1 ნიორი
ნანსი 1:1 ისტრი
კაენი 1:2 ლავალი
ვასკეალი 1:1 აიაჩო

**თასის მერვედფინალი**

სტრასბური (I) 1:0დ.დ. (0:0) ტრუა

## Cup of Nations 2002 აფრიკის ერთვნებათა თასი

**B ჯგუფი. III ტური**

მაროკო 1:3 სამხრეთ აფრიკა
ბურკინა ფასო 1:2 განა

## იტალია

**სერია A. გადადებული მატჩი**

კიევო 3:1 ლაციო

**თასის ნახევარფინალი პირველი მატჩი**

პარმა — ბრეშა დღეს გაიმართება

## შოტლანდია

**პრემიერლიგა გადადებული მატჩები**

ლივინგსტონი 1:3 სელტიკი
კილმარნოკი 2:2 რეინჯერსი

## გერმანია

**თასის მეოთხედფინალი**

ჰერტა 1:2დ.დ. (1:1) კიოლნი
შალკე 2:0 ოზერჰაუზენი (II)
ლევერკუზენი 3:0 მიუნხენი
კაიზერსლაუტერნი 0:0 (პჯ. 3:5) ბაიერნი

## ესპანეთი

**თასის ნახევარფინალი საპასუხო მატჩი**

დეპორტივო 1:1 ფიგერესი (III) (1:0)

## პორტუგალია

**თასის მეოთხედფინალი გადათამაშება**

მარიტიმუ 0:0 (პჯ. 8:7) სალგეირუში (2:2)

## ჰოლანდია

**თასის მეოთხედფინალი**

უტრეხტი 3:1 ჰერენვენი
პსვ ეინდჰოვენი 1:1 (პჯ. 7:6) ფეიენოორდი

## საბერძნეთი

**თასის მეოთხედფინალი პირველი მატჩები**

ქსანთი 0:1 არისი
აეკ 2:1 პაოკ

## სპარსეთის ყურის თასი

**V ტური**

საუდეთი 3:1 ყატარი



REUTERS ლონდონიდან

ჩელსი — ლიდსი. ლონდონელმა ემანუელ პეტიმ და ჯეისონ უილკოქსმა ერთმანეთი ჩაწიხლეს



## ევროლიგა

**პირველი ჯგუფური ეტაპი. XII ტური. 30 იანვარი**

**A ჯგუფი**

შარლერუა 56:76 ოლიმპიაკოსი
უნიკახა 66:67 ეფესი
ულიონსკი 71:66 ალბა

**D ჯგუფი**

ციბონა 85:71 პარტიზანი
ოსტენდე 102:73 აეკ
სკავოლინი 75:85 ტაუ

**C ჯგუფი**

პანათინაიკოსი 98:92 კრკა

# ჯონ გრეგორიმ ქინქლაძე მოიწონა



გიორგი ქინქლაძე

**გუშინ ინგლისური „დერბის" ახალი მწვრთნელი, გამოცდილი და „ასტონ ვილადან" ახლახან წასული ჯონ გრეგორი დაუნიშნეს. სწორედ ამის თაობაზე შევეხმიანეთ ნუხელ ქართველ ნახევარმცველ გიორგი ქინქლაძეს და თან კლუბიდან მის შესაძლო ტრანსფერზე ვკითხეთ.**

— ჯონ გრეგორი „დერბის" ხელმძღვანელობამ დღესვე გაგვაცნო. როგორც ხდება-ხოლმე, ახალი მწვრთნელი სამომავლო გეგმებზე ზოგადად გვესაუბრა.

**— შენ თუ ელაპარაკე გრეგორის?**

— ვილაპარაკეთ, გამომკითხა, როგორ ფორმაში ხარ, ნაკრებში თამაშები როდის გაქვს, ოჯახური პრობლემები ხომ არ გაწუხებსო.

**— გრეგორის პირისპირ ესაუბრე და მხოლოდ ეს გკითხა? ახალი მწვრთნელია და ყოველ ფეხბურთელზე, მით უმეტეს ქინქლაძეზე, მეტის გაგებას შეეცდებოდა.**

— მეც ისე მომესალმა, როგორც ყველა ფეხბურთელს, თუმცა ჩემი ამბებით კი დაინტერესდა.

**— რას ფიქრობ, როგორი მწვრთნელია?**

— შემტევი და ლამაზი ფეხბურთის მიმდევარია. ვფიქრობ, გრეგორის სჭირდება ჩემი სტილის ფეხბურთელები.

**— „დერბიში" დარჩენას აპირებ?**

— ზუსტად ჯერ ვერაფერს ვიტყვი. ვნახოთ, გრეგორის თუ მართლაც ლამაზი ფეხბურთის თამაში სურს, დავრჩები „დერბიში", თუ არადა, კვლავაც გავაგრძელებ ახალი კლუბის ძიებას.

**კობა ინასარიძე**

# სტუდენტებმა ჰამლეტის თავ-ფეხი ნახეს

**ზედაზენულში** მოსახვედრად მებრძოლი ფოთის „კოლხეთი" კვლავაც აგრძელებს საგაზაფხულო ეტაპისთვის მზადებას. გუშინ კოლხებმა ამხანაგური მატჩი ითამაშეს პირველლიგელ თსუსთან. სტუდენტებს ზღვისპირელები ოთხიოდ დღის წინაც შეხვდნენ და 0:0-ს დასჯერდნენ. ამჯერად კი 3:1 მოიგეს.

„კოლხეთის" სასტარტო შემადგენლობა ასეთი იყო: **ჩემია, ნარსია, გოროზია, მ. ქობულაძე, ტაბატაძე, ქუტიძე, ჭანტურიძე, აკობია, ე. გვასალია, ოდიკაძე, წივწივაძე.**

ფოთელთაგან თავი ჰამლეტ წივწივაძემ გამოიჩინა. საქართველოს ჩემპიონატის პირველი ეტაპის საუკეთესო ბომბარდირმა სტუდენტებს ჯერ თავით, მერე კი ფეხით ორჯერ გაუტანა და „კოლხეთის" გამარჯვებაში მნიშვნელოვანი წილი დაიდო.



ჰამლეტ წივწივაძე

ახლა ორიოდ სიტყვით წამსვლელდამრჩენთა შესახებაც ვთქვათ. სეზონის წინ სამტრედიის „იბერიადან" მიწვეული თავდამსხმელი შალვა მუმლაძე უკრაინულ სუმის „სპარტაკში" წავიდა გასასინჯად. რაც შეეხება დავით კვირკველიას, ის მაისამდე კვლავაც „კოლხეთისთვის" გაირჯება.

— გადავწყვიტეთ, კვირკველია სეზონის ბოლომდე დავიტოვოთ. მართალია, მსურველი ბევრია, მაგრამ ის ჩვენთვის საჭირო ფეხბურთელია. სეზონის მერე კი ვნახოთ — გვითხრა გუშინ სოსო ფილიამ.

„კოლხეთში" ითამაშებს ერთ დროს ეროვნული ნაკრების წევრი ვალტერ გუჩუაც. ქუთაისის „ტორპედოს" ხელმძღვანელობა ფეხბურთელის გაშვებაზე დათანხმდა და ახლა მხოლოდ ფორმალური მხარეღა დარჩა მოსაგვარებელი.

სხვამხრივ ზღვისპირულ კლუბში ძირეული ცვლილებები მოსალოდნელი არაა. ის კი ვთქვათ, რომ სოსო ფილიას გუნდი 1 თებერვალს ბულგარეთში ტრადიციულ საწვრთნელ შეკრებაზე უნდა წაეყვანა, თუმცა მცირე ფინანსური შეფერხების გამო კოლხები „მშობლიურ" ნესებრს ორი დღით გვიან, 3 თებერვალს ეწვევიან. ქართველებს ბულგარეთში ხუთი საკონტროლო მატჩი აქვთ დაგეგმილი, თუმც მეტოქეები ჯერჯერობით უცნობია.

— ნესებრში ამის პრობლემა ნამდვილად არაა. იქაურ კლუბებს თუ არ ჩავთვლით, უამრავი უცხო ქვეყნის გუნდი ჩამოდის საწვრთნელ შეკრებაზე. ასე რომ, ამხანაგურ მატჩებსაც არ მოვიკლებთ — გვითხრა „კოლხეთის" თავკაცმა.

ბულგარეთში წამსვლელთა ვინაობას სოსო ფილია დღეს დაასახელებს.

**კახა შალამბერიძე**

# გიგიაძე სუმისტია

**უკრაინის** უმაღლესლიგელ „ტავრიას" ქვეყნის ჩემპიონატის პირველი წრის შემდეგ ქუთაისელ ტყუპ ძმებ გიგიაძეებთაგან ერთ-ერთი გამოაკლდა. ლაპარაკია სოსოზე, რომელსაც იშვიათად უწევდა ძირითადში თამაში და ამიტომაც გადაწყვიტა სიმფეროპოლური გუნდის დატოვება.

სოსო თვენახევარზე მეტი მშობლიურ ქალაქში იმყოფებოდა. მან აქვე ჩაიტარა მკურნალობის კურსი და გუშინწინ იყო, ისევ უკრაინას მიაშურა ახალ კლუბში მოსაწყობად, თუმც, რაღა ახალში, სუმის „სპარტაკში" მას აღრეც უთამაშია. „სპარტაკი" წინა სეზონში პირველი ლიგიდან მეორეში ჩამოქვეითდა, ოღონდ, ეტყობა, „დაბალში" დიდი ხნით არ ჩაწერილა. სუმელები ერთპიროვნულად ლიდერობენ გათამაშებას და დარჩენილ ეტაპსაც იმედით შეჰყურებენ. „სპარტაკის" მესვეურთ (მათ შორის ჩვენს თანამემამულეს ვალერი გერაძესაც მოიხსენიებენ) დიდი გეგმები აქვთ სამომავლოდ და ცხადია, გუნდის გაძლიერებაზე ზრუნავენ. „სპარტაკმა" პირველ შეკრებაზე რამდენიმე ახალწვეულს უხმო და მათ შორის, როგორც ვთქვით, სოსო გიგიაძესაც, რომელმაც თავისი მეგობარი, მეცამეტე ეროვნულში „კოლხეთში" გადაბარგებული შალვა მუმლაძე აიყოლია და ეს ორი ერთად გაემგზავრნენ სუმში პირობების გასაცნობად. ჰოდა, თუ მოხდა და სოსო და შალვა „სპარტაკში" დარჩნენ, შესაძლოა, ამ უკრაინულ გუნდში ერთდროულად ოთხმა ქართველმა იბურთაოს. შეგახსენებთ, რომ პირველ წრეში „სპარტაკის" ღირსებას გელა გაბისონია და შალვა ბიწაძე იცავდნენ, ოღონდ ეს უკანასკნელი ახლა რუსულ „არსენალში" (ტულა) ისინჯება და არ არის გამორიცხული იქვე დარჩეს.

**იუზა კაციტაძე ქუთაისიდან**

# ორი ჩიტაია სჯობს ერთს

**გუშინ** გარდაბანში უმაღლესი ლიგის აუტსაიდერი და პირველი ლიგის ერთპიროვნული ლიდერი დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. რუსთავის „გორდამ" გორის „დილასთან" ვერაფერი გააწყო და ორი უპასუხო ბურთით დამარცხდა. მატჩში თავი ძმებმა ჩიტაიებმა გამოიჩინეს. გაგას და ბექას დუეტი „დილაში" სულ ცოტა ხნის წინ აღდგა.

თენგიზ კაციამ „გორდას" სასტარტოში ეს ფეხბურთელები ათამაშა: **ბათიაშვილი, ზ. ლაბაძე, ებრალიძე, ლურსმანაშვილი, არსოშვილი, ბუკია, ვართაგავა, ლაშა ხილაგაძე, თავბერიძე, ჯელაძე, რეხვიაშვილი.** შეცვლაზე ბედიაშვილმა, აფშილავამ, გეგიამ, კიტეიშვილმა, ლაშა ხმალაძემ და ჩიქობავამ ითამაშეს.

რუსთაველთა თავკაცს გუშინ ფეხმტკივანი ვარლამ კილასონია და სურდოშეყრილი დავით გოდერძიშვილი, ცქიფურიშვილი, გაბისკირია და მელაძე არ გაუყვანია მოედანზე.

კაცია 5 თებერვალს „სიონთან" გაჯიბრებას აპირებს, ხოლო 11 ან 12 თებერვალს აზერბაიჯანიდან ელის სტუმრებს. რუსთაველები ერთ-ერთ იქაურ გუნდს უმასპინძლებენ.

14 თებერვლიდან „გორდა" ქობულეთში მიემგზავრება შეკრებაზე და ზღვისპირეთს ჩემპიონატის განახლებამდე შერჩება.

გორელთა თავკაცმა ვლადიმერ ხაჩიძემ გარდაბანში ნაცადი შემადგენლობა ჩაიყვანა — **სოლოღაშვილი, გ. ჩიტაია, ხაჭაპურიძე, ლ. გოჩაშვილი, რევაზიშვილი, საყვარელიძე, ჯობაძე, ლომიძე, ა. ხმალაძე, ხორგუაშვილი, ფეზუაშვილი.** მეორე ტაიმში თავის გამოჩენის საშუალება ჰქონდათ ბექა ჩიტაიას, მაისურაძეს, ბურნაძეს, კუდინაშვილს, რაზმაძეს და ლაბაძეს. „დილა" გორში, სასტუმრო „ვიქტორიაში", მალე დაასრულებს შეკრებას. მერე ჩვეულებრივ წვრთნაზე გადავა და ჩემპიონატის განახლებამდე ერთხელაც შეიკრიბება.

**მამუკა ქმანტალიანი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

2004 წლის ევროპის ჩემპიონატის X შესარჩევი ჯგუფი

## ჩვენი მეტოქე

### ირლანდია

# ირლანდია მაკარტიზე არც დაფიქრებულა


მიკ მაკარტი

**რაც** საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ დეკემბერში გააკეთა, ირლანდიელები იგივეს მომავალ კვირაში აპირებენ — 2004 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპისთვის ნაკრების მწვრთნელის შერჩევაზე მოგახსენებთ.

კაცმა რომ თქვას, იქაური ფედერაციის მესვეურებს კანდიდატებზე ფიქრით თავი არც შეუწუხებიათ და მთავარმწვრთნელობის ერთადერთი პრეტენდენტი ნაკრების ახლანდელი თავკაცი მიკ მაკარტია. ალვნიშნოთ, რომ მაკარტის მიმდინარე კონტრაქტი კორეა-იაპონიის მსოფლიოს ჩემპიონატის დასრულების შემდეგ უმთავრდება და ახალზე საუბრის მიზეზიც ეს გახლავთ.

ირლანდიელებს ფიქრით თავი არ მოუკლავთ, რომ ვთქვით, სიზარმაცით არ მოსვლიათ — მაკარტიმ მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე ლუის ვან გაალი დაიბრიყვა და ახალი მწვრთნელის მოსაძებნად შორს რატომ უნდა წასულიყვნენ.

„მაკარტის აგენტთან მოლაპარაკება წარმატებით მიმდინარეობს და კონტრაქტის პირობებს საბოლოოდ მომავალ კვირაში შევათანხმებთ“ — ეს ფედერაციის პრესმდივნის ოფიციალური განცხადებაა.

თუმცა ახალი კონტრაქტის ვადაზე ჯერჯერობით ხმამაღლა არაფერი თქმულა. ერთი ეგაა, ირლანდიურმა გაზეთებმა გამოჩხრიკეს და წესით, ასეც უნდა იყოს, რომ მაკარტის 2004 წლის ზაფხულამდე დატოვებენ.

ბოლოს კი ალვნიშნოთ, რომ ფედერაციის ამ განცხადებამ გააბათილა ადრე გავრცელებული ხმები, ირლანდიელ მწვრთნელს რამდენიმე პრემიერლიგური კლუბი ეპატიჟებაო.

**გიორგი ღარჯანია**

# ჰახმა გატეხა, დეკანოსიძემ გაიტანა

**26 იანვარს** „ფიურტის“ შემადგენლობაში „ალენთან“ მატჩში გიორგი დეკანოსიძის გამოჩენას ველოდით, თუმცა ამაოდ. დეკანოსიძე მხოლოდ სათადარიგოთა შორის ყოფნით დააკმაყოფილა „ფიურტის“ თავკაცმა ეუგენ ჰახმა. მასპინძლებმაც ქართველის გარეშე მოიპოვეს მნიშვნელოვანი გამარჯვება და მეოთხე ადგილზე აინაცვლეს სატურნირო ცხრილში.

ჰახი რომ ჩვენებურის შესაძლებლობებს აფასებს, აქამდეც ვიცოდით. მწვრთნელმა დეკანოსიძე მოსამზადებელ ეტაპზე ყველა საკონტროლო მატჩში ათამაშა, კმაყოფილიც დარჩა და ფეხბურთელს იმასაც დაჰპირდა, ძირითად გუნდში ითამაშებო.

სამწუხაროა, რომ ჰახმა პირველ ოფიციალურ შეხვედრაში სიტყვა ვერ შეუსრულა დეკანოსიძეს, არადა, საამისოდ მშვენიერი მოტივებიც ჰქონდა, რადგან გიორგიმ „ალენთან“ მატჩამდე ერთი დღით ადრე „ფიურტის“ სათადარიგო შემადგენლობაში გაიბრწყინა „დარმშტადთან“ შეხვედრაში. „ფიურტის“ რეზერვისტებმა ის მატჩი 3:2 წააგეს, მაგრამ დეკანოსიძემ საკმაოდ მაღალი შეფასება დაიმსახურა. სწორედ მისი უნაკლოდ შესრულებული პენალტით შეძლო „ფიურტმა“ ანგარიშის შემცირება. ბოლოს კი მარკოვსკიმ დეკანოსიძისავე პასით მეორე გოლი გაუტანა მასპინძლებს, თუმც მანამდე ანგარიში 3:1 იყო „დარმშტადის“ სასარგებლოდ.


გიორგი დეკანოსიძე

დეკანოსიძემ გუშინწინაც ითამაშა „ფიურტის“ სარეზერვო შემადგენლობაში. ქართველის გუნდი სტუმრად 1:3 დამარცხდა „რეგენსბურგთან“. ფიურტელთა ეს ერთადერთი გოლი რილმა ქართველის პასით გაიტანა. ასე რომ, ეუგენ ჰახს სერიოზული საფუძველი აქვს, დეკანოსიძისადმი მიცემული სიტყვა შეასრულოს. „ფიურტი“ მეორე ბუნდესლიგის მორიგ ტურში 2 თებერვალს თამაშობს სტუმრად „ბაბელსბერგთან“.

**ბაატა ძგანტალიანი**

ზურაბ ფოცხვერია სამძიმარს უცხადებს
საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს
მერაბ ჟორდანიას მამის
**ლევან ჟორდანიას**
გარდაცვალების გამო

საქართველოს ფიზკულტურულ-სპორტული კლუბი „დინამო“ სამძიმარს
უცხადებს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს
მერაბ ჟორდანიას მამის
**ლევან ჟორდანიას**
გარდაცვალების გამო

რამდენიმე დღის წინ B კატეგორიის მწვრთნელთა ლიცენზირების საზამთრო კურსი დასრულდა.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მწვრთნელთა მომზადების ცენტრის დირექტორმა გაიოზ დარსაძემ B კატეგორიის მსურველ 25 კანდიდატს სემინარი ჩაუტარა. მეცადინეობა 28 დეკემბრამდე გაგრძელდა, ამ ხნის განმავლობაში ბავშვთა ფეხბურთში მუშაობის მსურველმა მწვრთნელებმა მნიშვნელოვანი ინფორმაცია მიიღეს თანამედროვე სამწვრთნელო სტანდარტებზე.



უეფას პროგრამით სემინარისთვის 120 საათი იყო განსაზღვრული, თუმც კანდიდატთა საგამოცდოდ მომზადებას ბევრად დიდი დრო დასჭირდა.

გამოცდები 9-დან 29 იანვრამდე ჩატარდა. ამასთან დაკავშირებით სფფ-ის მწვრთნელთა მომზადების ცენტრის დირექტორ გაიოზ დარსაძეს ვესაუბრეთ.

# დარსაძეს რიგი დაუდგა

— სამუშაო პროცესით კმაყოფილი ვარ. B ლიცენზიის კანდიდატთა ძალიან კარგი კონტიგენტი იყო შერჩეული. აღსანიშნავია მათი მონდომება, ცოდნის მიღების სურვილი. ბევრი მათგანი ყოფილი ფეხბურთელი გახლდათ, ამან ერთიორად გაგვიადვილა მუშაობა. საოცრად მაღალი იყო კურსების ორგანიზაციული დონე, რაც უეფა-ს წარმომადგენლებმაც აღნიშნეს. საორგანიზაციო საკითხებში არაფრით არ ჩამოვრჩენილვართ ევროპულ სტანდარტებს.

**— კანდიდატები რა კრიტერიუმით შეარჩიეთ? რამდენადაც ვიცი, რეგიონებში ერთი მათგანიც არ მუშაობს...**

— კანდიდატები სფფ-ის შესაბამისმა კომიტეტმა შეარჩია. 25-ივე მწვრთნელი თბილისში მუშაობს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ სამომავლოდ რეგიონებს უყურადღებოდ დავტოვებთ.

**— სასწავლო პროცესმა როგორ ჩაიარა?**

— მსმენელები ერთობ აქტიურობდნენ. საინტერესო დისკუსიებიც გაიმართა როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული საკითხების განხილვისას, მაგრამ ამასთან ერთად იყო ხარვეზებიც, რაც შესაძლოა, სხვისთვის შეუმჩნეველი დარჩა, მაგრამ ჩემთვის ცნობილია და სამომავლოდ გავითვალისწინებ კიდეც. მიუხედავად ამისა, საერთო ჯამში მაინც ყველა კმაყოფილია.

**— კონკრეტულად რომელმა თემამ გამოიწვია დიდი დაინტერესება მსმენელთაგან?**

— B კატეგორიის კურსები ერთი მთლიანი ჯაჭვია, რომლის ყველა რგოლიც საინტერესო და მნიშვნელოვანია. ამდენად ვერც ერთ საკითხს გამოვყოფ, მით უფრო, რომ თითოეული ლექციისას უყურადღებობა არავისთვის შემიმჩნევია.

**— სასწავლო პროცესში მსმენელებს თავისი ცოდნა-გამოცდილება წამყვანმა ევროპელმა სპეციალისტებმაც გაუზიარეს...**

— უდავოდ მნიშვნელოვანი იყო ფრანკო ფერარის და მიშელ საბლონის ლექციები. მათ საკმაოდ დიდი გამოცდილება აქვთ და მოხარული ვარ, რომ დახმარება გაგვიწიეს.

**— რამდენი გამოცდა ჩააბარეს კანდიდატებმა?**

— ოთხი. პირველი გამოცდის თემა დემონსტრირების უნარს მოიცავდა. მეორე გამოცდა არასპეციფიურ თემატიკაზე გვქონდა — ფიზიოლოგიის, პირველი დახმარებისა და თამაშების წესებზე. მომდევნო ორი კი გაცილებით რთული იყო — კითხვები საფეხბურთო თეორიიდან და პრაქტიკული გამოცდა, რომლის დროსაც კანდიდატებს თემები დავურიგეთ. შემდეგ მათ შესაბამისი კონსპექტები წარმოადგინეს და უშუალოდ პრაქტიკულად, მოედანზე მოუხდათ თავიანთი შესაძლებლობების ჩვენება.

**— ვინ შეაჯამა გამოცდების შედეგები და რამდენმა კანდიდატმა მოიპოვა B კატეგორიის ლიცენზია?**

— შედეგები ათკაციანმა, კომპეტენტურმა კომისიამ შეაჯამა. მათი გადაწყვეტილებით, B კატეგორიის მფლობელი 20 მწვრთნელი გვეყოლება.

**— ჩაჭრილებს თუ მიეცემათ გადაბარების შესაძლებლობა?**

— მათ ერთი წლის განმავლობაში აქვთ ამის შანსი. ცალკე განვიხილავთ ალბათ ხვიჩა ქასრაშვილის საკითხს. მას ორი გამოცდა ჩაბარებული ჰქონდა და დედა გარდაეცვალა. ცხადია, ამან ხელი შეუშალა და ხვიჩას სურვილის შემთხვევაში გამოცდის ჩაბარების შესაძლებლობას მივცემთ.

**— B კატეგორიის მორიგი კურსები როდის ჩატარდება?**

— 3-დან 28 ივნისის ჩათვლით. დღეისთვის საქართველოში 500-მდე ბავშვთა მწვრთნელია და რამდენადაც ვიცი, თითქმის ყველას აქვს ლიცენზიის მოპოვების სურვილი, მაგრამ თითოეულ ეტაპზე უნდა შეირჩეს არა უმეტეს 25 კანდიდატისა. ამიტომ სფფ-ს პრეროგატივაა კანდიდატთა შერჩევა. რამდენადაც ვიცი, მომდევნო სემინარისთვის ადგილები უკვე დაჯავშნულია.

**— არსებობს A ლიცენზიაც, რომელიც გაცილებით დიდ მაშტაბებს ითვალისწინებს, როდის გვეყოლება ამ კატეგორიის სპეციალისტი საქართველოში?**

— A კატეგორიის ლიცენზირება საკმაოდ ხანგრძლივი პროცესია და სათანადო ინფრასტრუქტურასთან ერთად, პროფესიონალი ინსტრუქტორებიც სჭირდება. ამდენად A კატეგორიის ლიცენზირებისთვის ჯერ ინსტრუქტორების მომზადებაა საჭირო. თუ საქმეს მიზანმიმართულად მივყევით, 2007 წლისთვის A ლიცენზიის მფლობელი მწვრთნელიც გვეყოლება.

**— B ლიცენზიის მფლობელისთვის აუცილებელია, ერთი წელი ბავშვთა ფეხბურთში იმუშაოს. ამ ვადის გასვლის შემდეგ მას უფლება აქვს, პრეტენზია წარადგინოს A ლიცენზიაზე. იქნებ ერთი წლის შემდეგ უცხოელი ინსტრუქტორები მოვიწვიოთ და ეს პროცესი დავაჩქაროთ?**

— ურიგო აზრი არ არის, საქმეს სასიკეთოდ წაადგება, მაგრამ პროფესიონალი უცხოელი ინსტრუქტორის მოწვევა დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული. ესეც რომ არა, ბოლოს და ბოლოს საქართველოშიც ხომ უნდა გვყავდეს კვალიფიციური ინსტრუქტორი, საამისოდ კი კანდიდატთა უცხოეთში გამართულ პროგრეს-კურსებზე მივლენაა საჭირო, ეს უფრო იაფი, ხელსაყრელი და ორმხრივ მომგებიანი გზაა.

**ბაატა ძგანტალიანი**

# ანჩაბაძე არა, წერეთელი კერა...

**21 ფეხბურთელი** იახლა კვიპროსულ შეკრებაზე „ლოკომოტივის“ თავკაცმა. კახა ცხადაძემ მაინც ვერ შეძლო უძლიერესი შემადგენლობის შენარჩუნება და დღეს თამამად შეიძლება ითქვას, რომ „ლოკომოტივის“ დანაკარგი შენაძენს აღემატება.

საშუასეზონო პერიოდში რკინიგზელებმა უარი თქვეს საქართველოში სახელდაგდებული მოთამაშეების დამატებაზე. თითქოს მამუკა წერეთლის გალოკომოტიველებას ბოლო წუთამდე წინ არაფერი ედგა, მაგრამ საქართველოს ეროვნული გუნდის ყოფილი წევრი რკინიგზელებმა ბელგიური „ლიერსისგან“ ვერ დაიხსნეს. აღარც ნათხოვრობით გადმოყვანა მოხერხდა და დარჩა „ლოკომოტივი“ გამოცდილი მცველის გარეშე, წერეთლის მომავალი კი ჯერ ბუნდოვანია.

რკინიგზელები ოცი დღის მანძილზე კომფორტულ და მყუდრო სასტუმრო „მელისში“ იცხოვრებენ, დღეში ორჯერ ივარჯიშებენ და 6 საკონტროლო მატჩსაც ჩაატარებენ. 1 თებერვალს ცხადაძის ბიჭებს მოსკოვის „დინამოსთან“ მოუწევთ ჭიდილი, 4-ში „ალანია“ დგას რიგში, 7 თებერვალს სლოვაკური „სელენა“ იქნება სპარინგ-პარტნიორი, ხოლო 10-ში — იუგოსლავიური „ზეტა“. 13 თებერვალს „ლოკომოტივი“ ძველ ნაცნობს, ბრატისლავის „სლოვანს“ შეხვდება, 16-ში კიდევ ერთი რუსული კლუბი, კრასნოიარსკის „მეტალურგი“ დაუპირისპირდება ჩვენებურებს, ხოლო ბოლო თამაში რუმინულ „რაპიდთან“ 19 თებერვალსაა დაგეგმილი.

რკინიგზელთა ლიდერი გიორგი ანჩაბაძე „ლოკომოტივს“ საბოლოოდ გაეყარა. მან „დინამოში“ თამაში ირჩიაო — გვითხრეს კლუბის ხელმძღვანელებმა. კიდევ ერთი წასვლის მოსურნე, დავით დათვაძე კი დარჩა და მეცამეტე ჩემპიონატსაც „ლოკომოტივში“ ჩაამთავრებს. გუნდს დაეთხოვა დავით ბაქრაძეც, რომელიც ზესტაფონის „მეტალურგს“ შეეკედლა, ხოლო ტრავმებით გაწამებული აქვსენტი გილაური კლუბმა გაათავისუფლა.

შესვება კი ძირითადად ფარმ-კლუბიდან მოვიდა. თუ არ ჩავთვლით დავით სირაძეს, რომელიც „ლოკომოტივში“ თითქმის ნახევარი წელიწადია ვარჯიშობს, ყველანი გამოუცდელი ბიჭები არიან. სირაძემ კი, ეტყობა, თურქებს თავი დააღწია და ამას ცხადაძეს უნდა უმადლოდეს.

მერაბ ძოწუაშვილმა ტრავმის შემდეგ დატვირთვებს უმატა. „ლოკომოტივშია“ „დინამოდან“ სეზონის დასაწყისშივე გამოშვებული თავდამსხმელი ბესიკ ქარდავაც.

საკვიპროსე 21-კაციან „ლოკომოტივში“ ესენი მოხვდნენ:

*მეკარეები: გიორგი ლომაია და მანუჩარ ივარდავა.*

*მცველები: გიორგი ბალაშვილი, ლაშა სალუქვაძე, ზაზა ლაცაბიძე, დავით მორჩილაძე, ნუკრი მანჩხავა, სერგო ორბელაძე, გიორგი დავითნიძე, როინ ონიანი.*

*ნახევარმცველები: გელა ქორიძე, დავით ჭიჭვეიშვილი, კახა გოგიჩაიშვილი, დავით დათვაძე, დავით სირაძე, ირაკლი სირბილაძე, ბესიკ ვლასოვი*

*თავდამსხმელები: ალეკო კადარაშვილი, სულიკო დავითაშვილი, მერაბ ძოწუაშვილი, ბესიკ ქარდავა.*

**მამუკა ძგანტალიანი**



ბოლტონი — მანჩესტერი. ოლე გუნარ სოლსკიაერმა (№20) მასპინძლებს ჰეთ თრიქი შეუსრულა

# ოლე, ოლე, ოლე, რუუდ!
## მანჩესტერმა ფრთები გაშალა

### ინგლისი

**პრემიერლიგა. XXIV ტური**

**ჩარლტონი 1:0 დერბი ქაუნთი**

1:0 ბარტ-უილიამსი (79)

ჩარლტონი: დ. კელი, კონჩესკი, ჟორჟე კოშტა, ფორტუნი, კ. პაუელი, ბარტ-უილიამსი, პარკერი (სვენსონი 79), გ. სტიუარტი, ჯ. რობინსონი, იუელი (კიშიშევი 84), ჯ. იოჰანსონი (ლისბი 71)

მწვრთნელი: ალან კერბიშლი

დერბი ქაუნთი: ე. ოუქსი, მავენი, რიგოტი, ჰიგინბოთემი, ჯექსონი, ბოერტიენი, ვალაკარი, კ. პაუელი, დიუკრო (ძინძლაძე 85), რავანელი, კრისტი

მწვრთნელი: ბილი მაკივანი

გაფრთხილება: სტიუარტი, რიგოტი, მავენი

მსაჯი: პაფი

25 387 მაყურებელი

**ბოლტონი 0:4 მანჩესტერი**

0:1, 0:2, 0:3 სოლსკიაერი (15, 39, 64), 0:4 ვან ნისტელროი (84)

ბოლტონი: იასკელაინენი, საუთჰოლი (ჩარლტონი 46), ბერგსონი, უიტლოუ, გარდნერი, ჰანსენი (ჯონსონი 59), ნოლანი, ბერნესი, ფარელი, ბობიჩი (ჰოლდსუორთი 75), რიკეტსი

მწვრთნელი: სემ ოლიარდისი

მანჩესტერი: ბარტეზი, ფ. ნევილი, გ. ნევილი, ბლანი (ოში 72), სილვესტრი, როი კინი (ბათი 73), ბექემი, სქოულზი, გიგზი, ვან ნისტელროი, სოლსკიაერი (ფორლანი 76)

მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი

მსაჯი: დურსო

27 350 მაყურებელი

**სანდერლენდი 0:1 მიდლსბრო**

0:1 ველანი (14)

სანდერლენდი: სორენსენი, გრეი, ჰაასი (ბელიონი 81), კრადოკი, ვარგა, კილბეინი, შვარცი, კ რეინა, მაკატირი (არკა 69), ნ. ქუინი, ფილიპსი

მწვრთნელი: პიტერ რიდი

მიდლსბრო: კროსლი, კუდრუ, საუთგეიტი, გევინი, ფესტა, სტოკდეილი, გრინინგი, ინსი, სტამპი (მასტო 72), უინდასი (გორდონი 55), ველანი (ე. კემპბელი 82)

მწვრთნელი: სტივ მაკლარენი

გაფრთხილება: გრინინგი, ველანი

გაძევება: ფესტა (52)

მსაჯი: დარკინი

44 579 მაყურებელი

**შუა კვირაში** წამოწყებულ მორიგ საპრემიერლიგო ტურში სამშაბათს სამი თამაში გაიმართა.

თითო სალიგო და სათასო წაგების შემდეგ „მანჩესტერ იუნაიტედი“ „ბოლტონს“ ეწვია და ბლევირი გაადინა. ოლე გუნარ სოლსკიაერმა ჰეთ თრიქი შეასრულა და რუუდ ვან ნისტელროიმაც შეაგდო თავისი წილი ერთი გოლი.

„იუნაიტედმა“ ითამაშა უძლიერესი შემადგენლობით, ისე, რომ მარცხნივ რაიან გიგზი ჰყავდა, მარჯვნივ დევიდ ბექემი. ამ უკანასკნელის გადაცემებით გაიტანა სოლსკიაერმა თავისი მეორე და მესამე გოლები. ალექს ფერგიუსონმა კი ხალხს წარუდგინა ახლადშეძენილი ურუგვაელი დიეგო ფორლანიც, რომელიც ბოლო 15 წუთს გამოჩნდა მოედანზე.

მეორე ტაიმის დასაწყისში იყო წუთები, როცა „ბოლტონს“ თამაშის შემოტრიალება შეეძლო, მაგრამ მასპინძელთა საგოლე მანქანას, მაიკლ რიკეტსს წინ ფაბიენ ბარტეზი გადაეღობა და ორი ბრწყინვალე ნახტომით გადაუწურა იმედი.

„ის დრო დგება, როცა ყველა ქულა ფასობს — თქვა ფერგიუსონმა — ამიტომ ამგვარი გამარჯვებები ძალიან გვჭირდება.“

ამასობაში კი კვლავ წააგო „დერბიმ“, რომელიც ჩარლტონში ცდილობდა რაღაცის მიღწევას. ჩარლტონელმა კრის ბარტ უილიამსმა თავისი პირველი ბურთი გაიტანა „ნოტინგემ ფორესტიდან“ ლონდონის გარეუბანში გადასვლის შემდეგ. ეს იყო შეხვედრის ერთადერთი გოლი, რომელიც მაშინ გავიდა, როცა თამაში ნულოვანი ფრისკენ მიექანებოდა.

„იველი გრაუნდის“ ტრიბუნაზე იჯდა წინა კვირას „ასტონ ვილადან“ წასული ჯონ გრეგორი, რომელსაც „დერბის“ თავკაცებთან მოლაპარაკება ჰქონდა და დღეიდან შეუდგება წამხდარი გუნდის გაწვრთნას. ამასობაში კი „დერბიმ“ ზედიზედ მეხუთედ წააგო და მეცხრამეტე ადგილზე დამკვიდრებულა უახლოესი მეტოქისგან ხუთქულიანი ჩამორჩენით.

„ექვსი წელიწადია ამ გუნდში ვარ და ასე ცუდად არასოდეს მიგრძვნია თავი“ — თქვა წაგებულთა კაპიტანმა დერილ პაუელმა.

ამასობაში კი ბოლო სამეულიდან ამოყვინთა „მიდლსბრომ,“ რომელმაც სანდერლენდში მოიგო 1:0. ამ ერთგვარ დერბის 45 ათასი მაყურებელი დაესწრო „ლაითის“ სტადიონზე და ნოელ ვილანმა თამაშის ასევე ერთადერთი გოლი 14-ე წუთზე გაიტანა. სტივ მაკლარენის „ბორომ“ საუცხოოდ ითამაშა დაცვაში და იმის მიუხედავად, რომ ლამის მთელი მეორე ტაიმი ათი კაცით იბრძოდა, ანგარიში შეინარჩუნა. მსაჯად პოლ დარკინი იყო და თამაშის ერთ ეპიზოდში მან მასპინძელი კევინ ფილიპსი და სტუმარი ჯანლუკა ფესტა გააშველა, ეს უკანასკნელი კი მიფურთხებისთვის მიაბრძანა მოედნიდან.

**ირაკლი ბამყრელიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერი | 25 | 15 | 3 | 7 | 60:34 | 48 |
| არსენალი | 23 | 12 | 8 | 3 | 46:27 | 44 |
| ნიუკასლი | 23 | 13 | 4 | 6 | 42:29 | 43 |
| ლივერპული | 24 | 12 | 7 | 5 | 33:24 | 43 |
| ლიდსი | 23 | 11 | 9 | 3 | 35:21 | 42 |
| ჩელსი | 23 | 9 | 10 | 4 | 40:23 | 37 |
| ასტონ ვილა | 23 | 9 | 8 | 6 | 31:28 | 35 |
| ტოტენჰემი | 23 | 9 | 5 | 9 | 34:30 | 32 |
| ჩარლტონი | 24 | 8 | 8 | 8 | 30:30 | 32 |
| ფულემი | 22 | 7 | 10 | 5 | 23:22 | 31 |
| სანდერლენდი | 24 | 7 | 7 | 10 | 19:26 | 28 |
| ვესტ ჰემი | 23 | 7 | 7 | 9 | 27:39 | 28 |
| ევერტონი | 23 | 7 | 6 | 10 | 25:30 | 27 |
| მიდლსბრო | 23 | 7 | 5 | 11 | 22:31 | 26 |
| საუთჰემპტონი | 23 | 8 | 2 | 13 | 27:37 | 26 |
| ბლექბერნი | 23 | 6 | 7 | 10 | 30:29 | 25 |
| ბოლტონი | 24 | 5 | 10 | 9 | 27:39 | 25 |
| იფსვიჩი | 23 | 6 | 6 | 11 | 31:33 | 24 |
| დერბი | 24 | 5 | 4 | 15 | 17:42 | 19 |
| ლესტერი | 23 | 3 | 8 | 12 | 15:40 | 17 |

**I დივიზიონი. XXXI ტური**

**ბარნსლი 1:0 უოლვერჰემპტონი**

1:0 შერონი (39)

**ბრედფორდი 0:1 პრესტონი**

0:1 კინი (47)

**ქრიუ 1:0 ნორვიჩი**

1:0 [illegible] (73)

**კრისტალ პალასი 1:3 კოვენტრი**

0:1 ბოტროიდი (11), 0:2 მ. ჰოლი (36), 1:2 ფრიდმენი (57), 1:3 მაკშეფრი (75)

**ჯილინგემი 3:3 სტოკპორტი**

1:0 ჯუდთორპი (12 პ.), 1:1 ბეკეტი (27), 2:1 ოსბორნი (38), 2:2 ბეკეტი (39), 3:2 კინგი (453), 3:3 როსი (47)

**როტერჰემი 1:1 გრიმსბი**

0:1 ტეილორი (36), 1:1 ლი (81)

**უოლსოლი 2:1 უიმბლდონი**

0:1 შიპერლი (12), 1:1 ლეიტაო (42), 2:1 კარბონი (85)

**ვესტ ბრომვიჩი 1:0 ბირმინგემი**

1:0 რობერტსი (43)

**შეფილდ იუნ. 0:0 შეფილდ უენსდი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სიტი | 29 | 18 | 4 | 7 | 68:38 | 58 |
| ვულვზი | 30 | 16 | 7 | 7 | 46:27 | 55 |
| ვესტ ბრომვიჩი | 31 | 16 | 6 | 9 | 35:23 | 54 |
| მილუოლი | 30 | 15 | 8 | 7 | 50:30 | 53 |
| ბარნლი | 28 | 15 | 6 | 7 | 50:40 | 51 |
| კრ. პალასი | 31 | 16 | 2 | 13 | 55:44 | 50 |
| ნორვიჩი | 31 | 15 | 5 | 11 | 42:40 | 50 |
| ბირმინგემი | 31 | 13 | 8 | 10 | 46:37 | 47 |
| ქოვენთრი | 30 | 14 | 5 | 11 | 38:30 | 47 |
| პრესტონი | 30 | 12 | 10 | 8 | 45:38 | 46 |
| ჯილინგემი | 31 | 12 | 7 | 12 | 47:45 | 43 |
| უოტფორდი | 29 | 11 | 7 | 11 | 43:35 | 40 |
| ნოტინგემი | 30 | 9 | 13 | 8 | 32:27 | 40 |
| შეფილდი | 31 | 9 | 13 | 9 | 32:35 | 40 |
| უიმბლდონი | 29 | 10 | 9 | 10 | 45:41 | 39 |
| ბრედფორდი | 30 | 10 | 6 | 14 | 52:57 | 36 |
| პორტსმუთი | 29 | 10 | 6 | 13 | 42:47 | 36 |
| ბარნსლი | 31 | 8 | 11 | 12 | 43:55 | 35 |
| ქრიუ | 29 | 9 | 8 | 12 | 29:42 | 35 |
| როტერჰემი | 29 | 7 | 11 | 11 | 35:44 | 32 |
| უენსდი | 30 | 7 | 10 | 13 | 30:46 | 31 |
| უოლსოლი | 31 | 8 | 6 | 17 | 34:50 | 30 |
| გრიმსბი | 31 | 6 | 10 | 15 | 26:52 | 28 |
| სტოკპორტი | 31 | 2 | 8 | 21 | 28:70 | 14 |



დიეგო ფორლანის მანჩესტერული დებიუტი


სტივ მილნმა (შუაში) აბერდინელებს ბევრი თავსატეხი გაუჩინა

# პიტოდრიზე ქულაც პურია

### შოტლანდია

**პრემიერლიგა**

**გადადებული მატჩი**

**აბერდინი 0:0 დანდი**

დანდი: სპერონი, სმიტი, ტი, დელ რიო, ბეკეტი (ბეიტი 70), მაკკეი, ქეცბაია, რაე, ტორესი, მილნი (რომანო 63), კემესი (კაბალიერო 54)

ზურაბ ხიზანიშვილი და გიორგი ნემსაძე ტრავმირებულნი არიან

მწვრთნელი: ივანო ბონეტი

გაფრთხილება: ქეცბაია

მსაჯი: მაკდონალდი

10 127 მაყურებელი

**„აბერდინის“** „პიტოდრი სტადიუმიდან“ ქულის წაღება წლეულს მხოლოდ სამ გუნდს მოუხერხდა. თავადაც ხედავთ, „დანდი“ ერთი ამათგანია. ეს კი იმასაც ნიშნავს, რომ ჩვენთვის გამორჩევით საქომაგო ამ შოტლანდიურ გუნდს ქვეყნის ჩრდილო-აღმოსავლეთ რეგიონში უკვე 8 შეხვედრაა, არ წაუგია. ამბობენ, რომ ამგვარი რამ 1993 წლიდან აღარ მომხდარა.

„პატრიკ თისლთან“ შაბათის სათასო შეხვედრაში შერჩეული შემადგენლობა ივანო ბონეტიმ „აბერდინისთვის“ საფუძვლიანად გადაახალისა და „დანდის“ სასტარტო თერთმეტეულს გევი რაესთან, ლეივ მაკკეისთან, სტივ მილნსა და ხალედ კემესსთან ერთად მოკეთებული თემურ ქეცბაიაც დაუბრუნდა. თემურმა მთელი მატჩი შეუცვლელად ჩაატარა და ჩვეულებისამებრ ნაყოფიერადაც გაირჯა. მისი პასით გოლის გატანა სტივენ მილნს უკვე პირველსავე წამებზე შეეძლო, მაგრამ ამის გაკეთება იმ დღეს დიდებულად მოთამაშე პიტერ კიაერის, აბერდინელთა მეკარის გამო ვერ მოახერხა. თავად თემურის სახიფათო დარტყმების გაუვნებელყოფა კი კიაერს უფრო მოგვიანებით მოუხდა. ერთადერთი, ვინც ჩვენებურის მონდომება უარყოფითად შეაფასა, მთავარი არბიტრი გახლდათ — 54-ე წუთზე ქეცბაიას მიერ აბერდინელი მაკნაფტონის მოცელვა მან ყვითელ ბარათად გარდასახა.

ზოგადად თამაშმა კი შინაარსიანად და ორმხრივ იერიშებში ჩაიარა. კიაერსა და მის დანდელ კოლეგა სპერონის საქმე 90 წუთის განმავლობაში არ გამოლევიათ. აღსანიშნავია, რომ სტუმრები ყრუ დაცვაში არ ჩამდგარან და აბერდინიდან დამსახურებული ქულაც წაიღეს.

**ლევან ძელაურაძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სელტიკი | 25 | 23 | 1 | 1 | 59:12 | 70 |
| რეინჯერსი | 25 | 17 | 6 | 2 | 57:19 | 57 |
| ლივინგსტონი | 24 | 12 | 7 | 5 | 35:20 | 43 |
| აბერდინი | 27 | 11 | 5 | 11 | 36:39 | 38 |
| ჰართსი | 26 | 10 | 4 | 12 | 34:33 | 34 |
| კილმარნოკი | 25 | 9 | 5 | 11 | 25:30 | 32 |
| დანფერმლაინი | 25 | 9 | 4 | 12 | 30:42 | 31 |
| დანდი იუნ. | 26 | 8 | 7 | 11 | 28:44 | 31 |
| დანდი | 25 | 7 | 7 | 11 | 23:35 | 28 |
| მოზერუელი | 26 | 7 | 6 | 13 | 34:48 | 27 |
| ჰიბერნიანი | 26 | 5 | 8 | 13 | 32:42 | 23 |
| სენტ ჯონსტონი | 26 | 3 | 4 | 19 | 17:46 | 13 |

# გრეგორის მატყლის სითბო მოენატრა
## ცხვრებს მეოთხედაც გაპარსავენ


ჯონ გრეგორი

**ვერა და ვერ** გაცხარდნენ „ცხვრები“, პრემიერლიგური ოცეულის მე-19 ადგილს ძოვენ, თანაც მდევარ „ლესტერს“ მარაგში ერთი გადატანილი მატჩი აქვს.

სადაც სამი იქაც მეოთხეო და „დერბი ქაუნთის“ უფროსობამ გუნდს სეზონში უკვე მეოთხე მწვრთნელი დაუნიშნა — ჯონ გრეგორი. ეს გუშინდელი ამბავია, გუშინწინ კი კლუბის თავმჯდომარე კეიტ ლორინგი ხუთი საათი პირისპირ ესაუბრა გრეგორის და დაიყოლია კიდეც.

47 წლის ჯონ გრეგორი სულ რაღაც ექვსი დღე გახლდათ უმუშევარი — „ასტონ ვილა“ მან წინა ხუთშაბათს დატოვა და თავის ყოფილ კლუბს დაუბრუნდა. „დერბიში“ ის სამი სეზონი (1985-88) თამაშობდა და ამ ხნის განმავლობაში ინგლისის ჩემპიონატის 103 მატჩში 22 გოლიც გაუტანია.

გუშინვე, საგანგებო პრესკონფერენცია მოეწყო და „ცხვართა“ ახალი მენეჯერი ერთობ ფხიანი ფრაზებით შემოიფარგლა: „ძალიან გამხნევებული ვარ იმითი, რაც წინ მელის. ეს უბრალო გამოწვევა არ არის, მაგრამ მჯერა რომ შემიძლია მოედანზე გასულ გუნდზე გავლენა მოვახდინო. რასაც სულმოუთქმელად ველი“.

ჩვენის მხრივ ბარემ იმასაც მოგახსენებთ, თუ რა ბედოვლათები იყვნენ „დერბის“ საამსეზონო მწვრთნელები. ჯიმ სმიტმა შვიდი ცდიდან მხოლოდ ერთხელ გაამარჯვებინა გუნდს მიმდინარე პრემიერლიგის პირველივე ტურში. მისმა თანაშემწე კოლინ ტოდმა კი ოთხი სამქულიანი მოუხვეჭა „ცხვრებს“, თუმც ამისთვის ჩვიდმეტი მატჩი დასჭირდა, ბილი მაკუენის გაწვრთნილმა დერბელებმა კი ორი შეხვედრა ჩაატარეს და ორივე წააგეს.

ახლა ჯონ გრეგორის ჯერია. პირველ ცდაზე მისი „ცხვრები“ „ტოტენჰემს“ გაეჯიბრებიან. ეს ამბავი შაბათს მოხდება.

**დავით თავართქილაძე**

ელექტრონული ბიბლიოთეკა


REUTERS

ნანტელი ოლივიე კვინტი (№21) და ლიონელი ერიკ დეფლანდრე

# მარამა რომ არა

## საფრანგეთი

I დივიზიონი. XXIII ტური

**ნანტი 3:0 ლიონი**

1:0, 2:0 ვაირუა (30, 45), 3:0 მოლდოვანი (53)

**23 ტური** დასჭირდა მოქმედ ჩემპიონ „ნანტს“ იმისთვის, რომ როგორმე მე-11 საფეხურს ჩაბღაუჭებოდა. თუ აქამდე ნანტელები ცხრილში თავიანთ მეზობლებთან აგროვებდნენ ქულებს, ახლა ლიდერთა რბევაც დაიწყეს. ამჯერად მათი მსხვერპლი „ლანსის“ მდევარი „ლიონი“ გახდა. რაღაც მოჯადოებული ხუთქულიანი სხვაობა არსებობს პირველ და მეორეადგილოსანს შორის, რომელიც არც ამჯერად შეცვლილა. ამის მთავარი მიზეზი კი ტაიტელი მეგოლე მარამა ვაირუა გახლდათ. მასპინძელმა ვაირუამ შეხვედრაში დუბლი შეასრულა. ჯერ 30-ე წუთზე შეაგდო, მერე კი, რალა მეორე ტაიმისთვის გადავდოო, პირველის მიწურულს კიდევ ერთი მიაყოლა. სტუმართა გასახდელში შესვენებისას, ალბათ, დიდი სჯა-ბაასი გაიმართა თემაზე — „როგორ მოვიგოთ წაგებული“. მათდა სამწუხაროდ, სხვა გეგმები ჰქონდა მასპინძელ ვიორელ მოლდოვანს, რომელმაც მატჩის განახლებიდან რამდენიმე წუთში საბოლოოდ შეაწყვეტინა მეტოქეს გამარჯვებაზე ფიქრი. მოლდოვანმა გაასამა და დაასამარა ლიონელთა იმედები, ოდნავ მაინც მიახლოვებოდა „ლანსს“.

მარამა ვაირუას კი, ვინც ტრავმის შემდეგ დაუბრუნდა „ნანტს“, ჩანს, გოლების გატანა მონატრებია.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლანსი | 21 | 13 | 6 | 2 | 37:15 | 45 |
| ლიონი | 22 | 12 | 4 | 6 | 41:23 | 40 |
| პსჟ | 22 | 8 | 11 | 3 | 26:17 | 35 |
| ოსერი | 20 | 9 | 8 | 3 | 28:20 | 35 |
| ლილი | 22 | 9 | 8 | 5 | 27:22 | 35 |
| ტრუა | 21 | 10 | 4 | 7 | 27:21 | 34 |
| ბორდო | 21 | 8 | 8 | 5 | 19:14 | 32 |
| სოშო | 22 | 8 | 7 | 7 | 29:26 | 31 |
| მონპელიე | 21 | 7 | 9 | 5 | 21:16 | 30 |
| მონაკო | 22 | 7 | 6 | 9 | 23:26 | 27 |
| ნანტი | 23 | 7 | 5 | 11 | 21:28 | 26 |
| მარსელი | 22 | 5 | 9 | 8 | 19:24 | 24 |
| ბასტია | 22 | 7 | 3 | 12 | 23:33 | 24 |
| სედანი | 20 | 5 | 8 | 7 | 22:22 | 23 |
| გენგამი | 22 | 5 | 6 | 11 | 18:37 | 21 |
| მეცი | 19 | 6 | 2 | 11 | 11:21 | 20 |
| ლორიანი | 22 | 5 | 5 | 12 | 32:44 | 20 |
| რენი | 22 | 5 | 5 | 12 | 20:35 | 20 |

II დივიზიონი. XXV ტური

**ბოვე 1:1 ლე ავრი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბოვე | 25 | 12 | 10 | 3 | 28:13 | 46 |
| ლე ავრი | 24 | 11 | 10 | 3 | 35:16 | 43 |
| აიაჩო | 24 | 12 | 7 | 5 | 31:18 | 43 |
| სტრასბური | 21 | 12 | 6 | 3 | 30:12 | 42 |
| ნიცა | 24 | 11 | 3 | 10 | 32:26 | 36 |
| ლე მანი | 24 | 9 | 8 | 7 | 27:27 | 35 |
| ამიენი | 23 | 9 | 7 | 7 | 31:27 | 34 |
| შატორუ | 22 | 9 | 5 | 8 | 25:23 | 32 |
| კაენი | 24 | 8 | 8 | 8 | 35:37 | 32 |
| გენიონი | 23 | 6 | 12 | 5 | 23:25 | 30 |
| ვასკეალი | 23 | 8 | 5 | 10 | 25:30 | 29 |
| ნანსი | 21 | 7 | 7 | 7 | 24:21 | 28 |
| გრენობლი | 24 | 7 | 7 | 10 | 21:33 | 28 |
| ლავალი | 23 | 7 | 6 | 10 | 24:31 | 27 |
| ნიორი | 24 | 5 | 11 | 8 | 25:28 | 26 |
| სენტ ეტიენი | 23 | 6 | 8 | 9 | 22:31 | 26 |
| ისტრი | 23 | 4 | 10 | 9 | 18:25 | 22 |
| მარტიგი | 23 | 5 | 7 | 11 | 19:31 | 22 |
| კრეტეი | 24 | 4 | 9 | 11 | 21:30 | 21 |
| ნიმი | 24 | 3 | 10 | 11 | 19:31 | 19 |

ლიგის თასი

1/2 ფინალის წილისყრა

**ლორიანი — რენი; პსჟ — ბორდო**

მატჩები გაიმართება 2-3 მარტს



იუპ ჰაინკესი ვისენტე დელ ბოსკესთვის იუბილეს ჩაშწარებას ეცდება

# გახსოვდეთ 6 მარტი და ძველი წყენა

**დღეს** „სანტიაგო ბერნაბეუზე“ ისეთი მატჩია, ფინალს ფინალის წინ რომ უწოდებენ. ესპანეთის სამეფო თასის საპასუხო ნახევარფინალურ შეხვედრაში მადრიდის „რეალი“ ბილბაოს „ატლეტიკს“ მასპინძლობს. გავიხსენოთ, რომ პირველ მატჩში, ბილბაოს „სან მამესზე“, თავიდან „რეალი“ იგებდა, საბოლოოდ კი ბასკებმა 2:1 იმარჯვეს.

ფინალი ფინალის წინო, ვთქვით, და დღევანდელი მატჩისადმი ამგვარი დამოკიდებულების მიზეზი ცნობილია: ნაღდი ფინალი 6 მარტს „სანტიაგო ბერნაბეუზე“ გაიმართება, ამ დღეს „რეალს“ ასი წელი უსრულდება. ჰოდა, წარმოიდგინეთ, „სამეფო კლუბს“ საუკუნოვანი იუბილე ჰქონდეს და „სანტიაგო ბერნაბეუზე“ სამეფო თასის ფინალში სხვები თამაშობდნენ... ამიტომაც თქვა მადრიდელთა მწვრთნელმა ვისენტე დელ ბოსკემ: „ასეთი მნიშვნელოვანი მატჩი კარგა ხანია, არ გვქონია“.

მაგრამ „რეალისთვის“ ეს იოლი მატჩი არ იქნება — ერთი რომ მხოლოდ და მხოლოდ მოგება აძლევს ხელს და „ბილბაოც“ იოლად გადასავლელი მეტოქე არ არის.

ბასკებსაც თავისი ანგარიში აქვთ. ბოლოს და ბოლოს, მათზე მეტჯერ არავის მოუგია ესპანეთის თასი (23). თუმც ბოლო მოგებიდან გვარიანი დრო გასულა — მთელი თვრამეტი წელი და ამ ხნის მანძილზე თასის მოგებათა რაოდენობით „ბარსელონაც“ წამოეწია. საინტერესოა, რომ ის ბოლო გამარჯვება „ბილბაომ“ სწორედ „სანტიაგო ბერნაბეუზე“ მოიპოვა და მაშინ ნახევარფინალში „რეალი“ ჩამოიცილა (ფინალში „ბარსელონას“ 1:0 მოუგო).

ერთი ფაქტორიცაა: ბასკთა მწვრთნელი გერმანელი იუპ ჰაინკესია — კაცი, რომელმაც 1998 წელს „რეალს“ ჩემპიონთა ლიგა მოაგებინა, გუნდიდან კი უპატივცემულოდ გაუშვეს.

ორივე გუნდი დღეს უძლიერეს შემადგენლობას გაიყვანს, გამონაკლისი ფერნანდო იეროა, რომელიც ჯერაც მკურნალობს და ეს ფაქტიც მატჩის უდიდეს მნიშვნელობაზე მიგვანიშნებს.

**გიორგი დარჯანია**

# რას აკეთებ, ბიჭო?!
## ბერლუსკონიმ გალიანი შეახურა

**იტალიის** პირველმა პირმა, ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა სილვიო ბერლუსკონიმ, გუშინწინ თავისი მისავათებული შვილისთვის, „მილანისთვის“ მოიცალა და კლუბის ბოლოდროინდელი წარუმატებლობის თაობაზე თავის მარჯვენა ხელს, ვიცე-პრეზიდენტ ადრიანო გალიანის ტელეფონით საათნახევარი ესაუბრა. შინაარსი უცნობია, თუმც იტალიური სააგენტო ANSA აღნიშნავს, რომ ბერლუსკონი თავის ქვეშევრდომს მკაცრად ელაპარაკა და კატეგორიულად მოსთხოვა, თითოეული ფეხბურთელი ძირფესვიანად გააკონტროლოს. სამშაბათის „სარბიელში“ დონ სილვიოს ფეხბურთელებისადმი დანაბარებს გაეცანით, სააგენტოსვე ცნობით, „მილანის“ მფლობელს კიდევ ერთხელ გაუმეორებია თავისი ნათქვამი და დაუყოლებია, საკადრო ცვლილებები აუცილებლად იქნებაო.

მოგეხსენებათ, პრეზიდენტის მოუცლელობის გამო „მილანის“ საქმეებს გალიანი განაგებს, მაგრამ ბერლუსკონისთან შეთანხმების გარეშე ნაბიჯიც არ გადაუდგამს. ბოლოს თურმე გალიანის ნოემბერში შეუწუხებია ქვეყნის პირველი პირი. სწორედ ურთიერთშეთანხმების საფუძველზე დაითხოვეს თურქი ფათიჰ თერიმი კლუბიდან და მის ნაცვლად კარლო ანჩელოტი დანიშნეს. ეს სატელეფონო საუბარი სწორედ მაშინ შემდგარა, როცა ბერლუსკონი თავის ბრიტანელ კოლეგას, ტონი ბლერს, ავღანეთში მიმდინარე საომარ მოქმედებებზე ებაასებოდა.

რა მოჰყვება ბერლუსკონი-გალიანის გუშინწინდელ სატელეფონო საუბარს, ძნელი სათქმელია.

ამასობაში კლუბის რუმინელმა მცველმა კოზმინ კონტრამ განაცხადა, რომ მას ესპანეთის ნოსტალგია მოეძალა. მოგეხსენებათ, კონტრა „მილანში“ ზაფხულში გადავიდა ვიტორიული „ალავესიდან“: „მეგონა, იტალიას იოლად შევეგუებოდი, მაგრამ შევცდი. აქაური და ესპანური ფეხბურთი ისე განსხვავდება ერთმანეთისგან, როგორც ცა და დედამიწა. იტალიაში ყველაფერი ტაქტიკაზეა გათვლილი, ფეხბურთელები დაპროგრამებულებივით არიან, ესპანეთში კი გოლების გატანას ენიჭება უპირატესობა. აქ შედეგი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სანახაობრივი ფეხბურთი — ამბობს კონტრა, თუმც დასძენს, რომ შეცდომა არ დაუშვია, როცა „მილანში“ გადავიდა — თუ კლუბი გამოვიცვალე, ეს აუცილებლად სხვა ქვეყნის გუნდი იქნება. მე თითქმის ძირითადის ფეხბურთელად ვითვლები, მაგრამ მგონია, რომ სადაც მათამაშებენ, იქ ჩემი ადგილი არ არის. ვფიქრობ, რომ თუ ამპლუას შემიცვლიან, გუნდს დიდ სარგებელს მოვუტან. ამ დღეებში ანჩელოტის სწორედ ამაზე დაველაპარაკები“.

**გიორგი გაჩაძე**



სილვიო ბერლუსკონი



კოზმინ კონტრამ (მარჯვნივ) იტალიაში მოიწყინა

# ფრანც ბეკენბაუერს კინოს ნახვა მოუნდა

**„მისი** გადმობირება ვშიშობ, რომ ძალიან რთული იქნება და თან ძვირი დაგვიჯდება. მაგრამ ის ისეთი ფეხბურთელია, რომელშიც დიდი თანხის გაღება ღირს. იგი მოედანზე ბატონობს და გოლებიც ხშირად გააქვს“ — ეს სიტყვები ფრანც ბეკენბაუერს ეკუთვნის. მიუნხენის „ბაიერნის“ პრეზიდენტი კი „მანჩესტერ იუნაიტედის“ კაპიტან როი კინს ასხამს ხოტბას — მას, ვისაც მანჩესტერელ ფანთა ერთ ცნობილ სიმღერაში „ერთადერთ კინოდ“ მოიხსენიებენ.

სხვათა შორის, გერმანიის ჩემპიონებს ინგლისის ჩემპიონთა ნახევარმცველის ყიდვა ჯერ კიდევ ორი წლის წინ ჰქონიათ დაგეგმილი, მაგრამ მაშინ ირლანდიელის ხელში ჩაგდება ვერ შეძლეს.

იმასაც ამბობენ, რომ „მანჩესტერ იუნაიტედი“ თავის კაპიტანთან ახალი მოლაპარაკების წამოწყებას და მისთვის ფანტასტიკური ხელფასის — კვირაში 80 ათასი გირვანქის შეთავაზებას აპირებს. „იუნაიტედის“ ხელმძღვანელობის მთავარი მიზანია, კაპიტანი კარიერის ბოლომდე დაიტოვოს „ოლდ ტრეფორდზე“, ხოლო ბეკენბაუერის სიტყვებზე, რომელიც გაზეთმა „სანმა“ გაავრცელა, „მანჩესტერის“ წარმომადგენლებს კომენტარი არ გაუკეთებიათ. ჯერჯერობით არც თავად ფეხბურთელს უთქვამს რამე.

**ნიკა შუბლაძე**



როი კინს „ბაიერნის“ მაისურა მოაზომეს

გულფის თასი. V ტური

ომანი — ბაჰრეინი 1:1 ქუვეითი — საამიროები 2:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ყატარი | 4 | 4 | 0 | 0 | 6:1 | 12 |
| საუდეთი | 4 | 3 | 1 | 0 | 7:2 | 10 |
| ქუვეითი | 5 | 1 | 2 | 2 | 4:6 | 5 |
| ბაჰრეინი | 5 | 1 | 2 | 2 | 4:6 | 5 |
| ომანი | 5 | 1 | 1 | 3 | 5:7 | 4 |
| საამიროები | 5 | 1 | 0 | 4 | 3:7 | 3 |

რეკლამა სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08;
Fax: 94 33 80

Cup of Nations 2002

## აფრიკის ეროვნებათა თასი 2002 მალი. 19 იანვარი — 10 თებერვალი

# გრიპი საშინელი ავადმყოფობაა

## მხოლოდ საფრანგეთში კურნავენ




REUTERS

დასიცხულმა კამარუნელმა მბომამ უსახელო მაისურა მოიხომა

### C ჯგუფი. III ტური

**კამერუნი 3:0 ტოგო**

1:0 მეტომო (52), 2:0 ეტოო (79), 3:0 ოლემბე (89)

**კამერუნი:** ალიუმი, სონგი, კალა, ჩატო, ჯერემი, ფოე, კომე, ჯემბა (ნდო 46), მეტომო (ოლემბე 63), მბომა (ნდიეფი 82), ეტოო

**ტოგო:** აგასა, აკოტო, აბალო, ოლიმბიო, ატტოდჟე (ჯ. ოიავოლე 62), გადფარე, ადებაიორი (ოლუფადე 74), სენაია, მუსტაფა, დოგბე, კუბაჯა (დოსევი 78)

6 000 მაყურებელი

**კონგოს დრ 3:1 კოტ დივუარი**

1:0 იუვულადიო (27), 2:0 ნონდა (67), 3:0 კიმოტო (813), 3:1 ტრაორე (89)

**კონგოს დრ:** ტოკალა, კისომბე, ბაგეტა, მუამბა, იუვულადიო, კიმოტო, მაიელე (მაზანგალა 66), მულეკელანი (აპატაკი 86), ნსენგო (ტუკუმუ 63), ლუა-ლუა, ნონდა

**კოტ დივუარი:** კონატე, ტურე, მ. კულიბალი, კუასი, კონე, დიაბატე (ბაკაიოკო 37), აკასუ (კანტე 25), ალიუ, იაპი-იაპო, ა. კეიტა, კალუ (კ ტრაორე 72)

მსაჯი: ფელიქს ტანგავარიმა (ზიმბაბვე)

5 000 მაყურებელი

**გააჩნია** რა შემთხვევაში. რას ვგულისხმობთ? კამერუნი — ტოგოს მატჩის შედეგის ლოგიკურობას. ერთი მხრივ, კამერუნელი „მოუთვინიერებელი ლომები" ტოგოელ „ძერებზე" ბევრად ძლიერები რომ არიან, თქმაც არ უნდა, მაგრამ მეორე მხრივ, ორი ტურის მერე ჯგუფიდან გასვლა განაღდებული ჰქონდათ და არაფრის მომცემ მატჩში თავი რად უნდა მოეკლათ? ისე კაცმა რომ თქვას, არც მოუკლავთ და მეტოქეს სამი გოლი თუ გაუტანეს, რა ამათი ბრალია. მართალია ტოგოელები ამტკიცებენ მეორე გოლი ორმაგ ოფსაიდს მოჰყვაო, მაგრამ ეს საქმის არსს არ ცვლის.

ტოგოს კი კვლავაც არ ეღირსა პირველი ეტაპის გადალახვა. კვლავ — რადგან, აგერ მეხუთედ თამაშობს აფრიკის თასზე და მეხუთედვე ჯგუფში ჩარჩა.

ამ მატჩის წინ კი ორი წლის წინანდელ ამბავს იხსენებდნენ: თასის მაშინდელ გათამაშებაში ტოგო ერთადერთი ნაკრები აღმოჩნდა, კამერუნის, მომავალი ჩემპიონის დამარცხება რომ შეძლო. და რაკი ის ამბავი გაიხსენეს, თქვეს, ეგებ, ახლაც ასე მოხდეს, მით უმეტეს, კამერუნს მოგება არ სჭირდებაო.

ეგებ, მართლაც ასე მომხდარიყო, „ძერებს" პირველ ტაიმში ორი უბრწყინვალესი შანსი რომ არ გაეფუჭებინათ. აბა, რა სახელი დავარქვათ კადერ კუბაჯას საქციელს, სამი მეტრიდან რომ ვერ გაიტანა, თან კუბაჯა სადღაც კი არა, სერია A-ში, „პარმაში" თამაშობს.

მეოთხე მეოთხედში კვლავ ამუშავდა სტუმართა ლიდერი. ჯონსმა 86:84 ანგარიშზე ლამაზი გარღვევით ამოქოლა ორქულიანი ჩამორჩენის ნაპრალი და ერთი საჯარიმოთი თავისიანები მეტოქეზე ცოტა წინაც წასწია. მეოთხედის დამთავრებამდე ოციოდ წამით ადრე ივარგა დენვერელმა ნიკ ვან ექსელმა, რომელიც რამდენიმე წლის წინ ჯონსს „ლეიკერსში" თანაგუნდელად ერგებოდა. მან სამქულიანით 89:87 გახადა და ჯონსი კვლავ აიძულა, გასათანაბრებლად ეზრუნა. მაიამელმა შეასრულა კიდეც ჩანაფიქრი, დროის ამოწურვამდე ორიანი ჩააგდო და დაღლილი „დენვერი" ოვერტაიმისთვის გაწირა. იქაც გადამწყვეტი აღმოჩნდა ის სამი ქულა, რომელიც მან ერთ შეტევაში მოინაგრა და „მაიამი" საბოლოოდ დააწინაურა 94:92.

„დენვერელების გამკვირვებია, კაცმა პირველ ტაიმში 24 ქულა ჩააგდო და მაინც თავის ნებაზე მიუშვეს" — თქვა მაიამელთა თავკაცმა პატ რაილიმ.

„მესამე მეოთხედში იგი თამაშს მოვწყვიტეთ, მაგრამ მერე რამდენჯერმე მარტო დავტოვეთ და ღიად სროლის საშუალება მივეცით" — სინანულით აღნიშნა ნიკ ვან ექსელმა.

**კლივლენდი 114:81 მინესოტა**

კლივლენდი: პერსონი (27)
მინესოტა: გარნეტი (14 ქულა, 11 მოხსნა)

**ნიუ იორკი 78:71 ფილადელფია**

ნიუ იორკი: ვორდი (14)
ფილადელფია: აივერსონი (15)

**დალასი 100:117 კლიპერსი**

დალასი: ნოვიცკი (22), ნეში (22)
კლიპერსი: მაკინისი (31), ბრენდი (23)

**სან ანტონიო 73:78 შარლოტი**

სან ანტონიო: დანკანი (29 ქულა, 21 მოხსნა)
შარლოტი: დრიუ (15)

**ვაშინგტონი 86:89 დეტროიტი**

ვაშინგტონი: ჯორდანი (32)
დეტროიტი: სტეკჰაუზი (24), ეტკინსი (20)

**მილუოკი 109:90 ბოსტონი**

მილუოკი: კასელი (20), ალენი (19)
ბოსტონი: უოლკერი (25), სტრიკლენდი (18)

**ატლანტა 93:127 ლეიკერსი**

ატლანტა: აბდურ-რაჰიმი (21)
ლეიკერსი: ბრაიანტი (32), ონილი (23)

**სიეტლი 86:92 პორტლენდი**

სიეტლი: პეიტონი (27)
პორტლენდი: დევისი (20 ქულა, 14 მოხსნა), ველსი (19), ვოლესი (16 ქულა, 13 მოხსნა, 5 დაფარება)

**ჰიუსტონი 100:96 გოლდენ სტეიტი**

ძირითადი დრო 86:86

ჰიუსტონი: ფრენსისი (33 ქულა, 12 მოხსნა, 7 პასი), ტომასი (23)
გოლდენ სტეიტი: რიჩარდსონი (18)

**ფინიქსი 91:90 ჩიკაგო**

ფინიქსი: მარიონი (24 ქულა, 10 მოხსნა)
ჩიკაგო: არტესტი (25)

29 იანვარს ნბა-ს თავს დატეხილმა ტაიფუნმა ბევრი ბობოლა იმსხვერპლა, ერთი უმაქნისი კი ცაღ აღაზევა. უდიდესი მოულოდნელობა გახლდათ „კლივლენდის" მიერ „მინესოტას" ძლევა, ძლევა კი არა, განადგურება.

„კლივლენდს" აქამდე ზედიზედ თორმეტი თამაში წაეგო. „ყველა ელოდა ჩვენს მორიგ მარცხს. ათიდან ცხრა მაინც, არა, უფრო მეტი, „მინესოტას" ანიჭებდა უპირატესობას. ვულოცავ ყველას ვინც აპირებდა და მერე გადაიფიქრა, ჩვენს წაგებაზე ფულს ჩასულიყო" — ამბობდა მინესოტელთა მთავარი დამაქცევარი ვესლი პერსონი. მისმა გუნდმა მგლებივით მეტოქეები 33 ქულით ააყირავა, პირიქით კი უნდა მომხდარიყო.

„ლოს ანჯელეს კლიპერსმა", რომელსაც მანამდე 18 სტუმრობიდან 15 წაეგო, ტეხასში იქაური „მავერიკსი" იმსხვერპლა, თან არაერთი და ორი ქულით. „მინესოტასი" არ იყოს, „დალასიც" იმ დაწყევლილ დღეს 20-30 ქულიან გამარჯვებას გეგმავდა.

კიდევ ერთი ტეხასური სენსაცია „სან ანტონიოს" შინაური მარცხი გახლავთ.

მაიკლ ჯორდანმა მორიგი ბრწყინვალე თამაში ჩაატარა, თუმცა კი მისი „ვაშინგტონი" „დეტროიტს" მხოლოდ მარცხს გამორჩა.

**ირაკლი ფირცხვილი**

| აღმოსავლეთის კონფერენცია | | | |
| --- | --- | --- | --- |
| **ატლანტიკის დივიზიონი** | მ | წ | % |
| ნიუ ჯერსი | 29 | 14 | 67,4 |
| ბოსტონი | 26 | 18 | 59,1 |
| ორლანდო | 23 | 22 | 51,1 |
| ფილადელფია | 22 | 22 | 50,0 |
| ვაშინგტონი | 21 | 21 | 50,0 |
| ნიუ იორკი | 18 | 25 | 41,9 |
| მაიამი | 16 | 28 | 36,4 |
| **ცენტრალური დივიზიონი** | | | |
| მილუოკი | 27 | 16 | 62,9 |
| ტორონტო | 26 | 19 | 57,8 |
| დეტროიტი | 22 | 20 | 52,4 |
| ინდიანა | 23 | 23 | 50,0 |
| შარლოტი | 21 | 23 | 47,7 |
| ატლანტა | 14 | 30 | 31,8 |
| კლივლენდი | 14 | 30 | 31,8 |
| ჩიკაგო | 9 | 34 | 20,9 |
| **დასავლეთის კონფერენცია** | | | |
| **შუა დასავლეთის დივიზიონი** | | | |
| დალასი | 32 | 13 | 71,1 |
| მინესოტა | 31 | 13 | 70,5 |
| სან ანტონიო | 29 | 14 | 67,4 |
| იუტა | 23 | 22 | 51,1 |
| ჰიუსტონი | 15 | 30 | 33,3 |
| დენვერი | 13 | 30 | 30,2 |
| მემფისი | 13 | 31 | 29,5 |
| **წყნარი ოკეანის დივიზიონი** | | | |
| საკრამენტო | 33 | 10 | 76,7 |
| ლეიკერსი | 30 | 12 | 71,4 |
| პორტლენდი | 23 | 20 | 53,5 |
| სიეტლი | 23 | 21 | 52,3 |
| კლიპერსი | 23 | 23 | 50,0 |
| ფინიქსი | 22 | 22 | 50,0 |
| გოლდენ სტეიტი | 14 | 29 | 32,6 |

## ALL STAR 2002

# ნახე, ვარსკვლავი ამომვარდა



დირკ ნოვიცკი

**გულშემატკივართა** ფეხის ხმას მალე ნბა-ს 29 გუნდის მთავარი მწვრთნელიც აჰყვა. ქომაგთა მიერ შედგენილ საოლსტარო გუნდების ხუთეულებს ჭკვიანმა ძიებმა შვიდ-შვიდი სათადარიგო შემატეს და აღმოსავლეთის და დასავლეთის ვარსკვლავთა ის კრებულებიც შეივსო, რომლებიც 10 თებერვალს კალათბურთის ფილადელფიელ გულშემატკივრებს წარუდგებიან.

„ოლ სტარის" 24 მონაწილიდან ერთშაბად რვა ახალდებაა („ოლ სტარებში" და არა ნბა-ში), რაც ან თაობათა ცვლაზე მიუთითებს, ანაც ვარსკვლავთა რიცხვის ზრდაზე. დასავლეთის გუნდს ერთბაშად ხუთი დამწყები-ოლსტარელი ჰყავს, მათგან ერთი, სტივ ფრენსისი, სულაც სასტარტო ხუთეულში. ეს ფაქტი ქომაგთა ამ ჯეელისადმი სიმპათიაზე მეტყველებს და სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ფრენსისი, ვთქვათ, სათადარიგოდ გამწესებულ გერი პეიტონზე უკეთესი კალათბურთელია, რომ აღარაფერი ვთქვათ დენვერელ ნიკ ვან ექსელზე, რომელიც დასავლეთის 12 რჩეულ ვარსკვლავს შორის საერთოდ ვერ მოხვდა.

ამ ბოლო ხანებში აღმავალი „დალასი" 10 თებერვალს ვარსკვლავთა პოდიუმზე ორ თავისიანს წარადგენს. ორივე ახალბედაა და თან ორივე უცხოელი.

აუცილებლად აღსანიშნავია უცხოელთა აქამდე არნახული სიმრავლე „ოლ სტარ 2002"-ში ერთბაშად ოთხი უცხოტომელი მიიღებს მონაწილეობას. მათგან ერთი, კონგოელი დიკემბე მუტომბო თუ ვარსკვლავთა ფორუმის მუდმივ მონაწილედ ქცეულა, სამი — გერმანელი დირკ ნოვიცკი, კანადელი სტივ ნეში და იუგოსლაველი პრედრაგ სტოიაკოვიჩი სიცოცხლეში პირველად დადგებიან რჩეულ ამერიკელთა გვერდით.

თაობები იცვლებიან, ახალი დრო მოდის და თან უცხო ნაკადი მოაქვს, მაგრამ ნბა-ში არის ერთი უცვლელი სიდიდე და მუდმივად სხვებზე არანაკლები, რომელსაც სახელად კარლ მელოუნი ჰქვია. 16 წლის განმავლობაში „იუტა ჯაზის" მამოძრავებელი ძალა თავის მე-14 „ოლ სტარისთვის" ემზადება.

| აღმოსავლეთი | |
| --- | --- |
| **სასტარტო ხუთეული** | |
| ალენ აივერსონი | ფილადელფია |
| მაიკლ ჯორდანი | ვაშინგტონი |
| ვინს კარტერი | ტორონტო |
| ანტუან უოლკერი | ბოსტონი |
| დიკემბე მუტომბო | ფილადელფია |
| **სათადარიგონი** | |
| ჯეისონ კიდი | ნიუ ჯერსი |
| რეი ალენი | მილუოკი |
| ტრეისი მაკგრეიდი | ორლანდო |
| ჯერმენ ონილი | ინდიანა |
| ალონზო მურნინგი | მაიამი |
| პოლ პირსი | ბოსტონი |
| შარიფ აბდურ-რაჰიმი | ატლანტა |
| მწვრთნელი: ბაირონ სკოტი (ნიუ ჯერსი) | |

| დასავლეთი | |
| --- | --- |
| **სასტარტო ხუთეული** | |
| სტივ ფრენსისი | ჰიუსტონი |
| კობი ბრაიანტი | ლეიკერსი |
| კევინ გარნეტი | მინესოტა |
| ტიმ დანკანი | სან ანტონიო |
| შაკილ ონილი | ლეიკერსი |
| **სათადარიგონი** | |
| გერი პეიტონი | სიეტლი |
| ვალი შჩერბიაკი | მინესოტა |
| დირკ ნოვიცკი | დალასი |
| კრის ვებერი | საკრამენტო |
| კარლ მელოუნი | იუტა |
| პრედრაგ სტოიაკოვიჩი | საკრამენტო |
| სტივ ნეში | დალასი |
| მწვრთნელი: დონ ნელსონი (დალასი) | |

# მაჰორიჩი უფულობამ გააქცია

## უგრეხელიძეს და ტუღუშს ალილოვიჩი დაუნიშნეს

**ამ** უქმეებზე ლიუბლიანის „სლოვანი" მთავარმა მწვრთნელმა დატოვა. ტომო მაჰორიჩის გუნდმა წლევანდელი სეზონი ჩააგდო, კორაჩის თასზე ჩინებული სტარტის მიუხედავად შემდეგ ეტაპზე გასვლა ვერ მოახერხა. წლეულს შექმნილ ადრიატიკის ლიგაში კი თხუთმეტი მატჩიდან ერთი მოგებით ბოლოსწინა ადგილზეა.

ჩვენი აზრით, დავით უგრეხელიძის და კოტე ტუღუშის „სლოვანის" წარუმატებლობა უფრო ობიექტურმა მიზეზებმა განაპირობა, ვიდრე მწვრთნელმა. ტომო მაჰორიჩმა ლიუბლიანური კლუბი ორნახევარი წლის წინ ჩაიბარა. მაშინ „სლოვანი" ერთი რიგითი, არაფრით გამორჩეული გუნდი იყო. პირველივე წელს ახალმა დამრიგებელმა კლუბი სლოვენიის ჩემპიონატის ნახევარფინალურ სერიაში გაიყვანა და საბოლოოდ მეოთხე ადგილს დასჯერდა. შარშან მაჰორიჩის გუნდმა თავის ისტორიაში უმაღლესი მწვერვალი დაიპყრო — სლოვენიის ბრინჯაოსმედალოსანი გახდა. იმავე სეზონში „სლოვანმა" ქვეყნის თასის გათამაშებაში მესამე ადგილი დაიკავა.

იმის მაგივრად, რომ გუნდი კიდევ უფრო გაძლიერებულიყო, მოთამაშეთა მიგრაცია დაიწყო. სეზონის დასაწყისში კლუბს ფინანსური პრობლემები ჰქონდა და მოთამაშეები ველარ შეინარჩუნა, რის ნათელ მაგალითად ნიკა ცქიტიშვილიც გამოდგება. სეზონის წინ გუნდი ცხრა კალათბურთელმა დატოვა, რომელთაგანაც ხუთი — იაკა ლაკოვიჩი, სმილან პავიჩი, ერნსტ ნოვაკი, პაველ ღურკოვიჩი და ნიკოლოზ ცქიტიშვილი — წამყვან მოთამაშედ ითვლებოდა. თუმცა მიუხედავად ობიექტური მიზეზებისა, მწვრთნელმა პასუხისმგებლობა თავის თავზე აიღო.

ტომო მაჰორიჩმა სამწვრთნელო კარიერა ლიუბლიანის „ოლიმპიაში" ზმაგო საგადინის ასისტენტად დაიწყო. იგი სლოვენიურ „კრსკოსაც" წვრთნიდა, რომელიც თასის ფინალში გაიყვანა. მაჰორიჩი „სლოვანში" 1999-2000 წლების სეზონის წინ მივიდა.

რომელ გუნდს გაწვრთნის ტომო მაჰორიჩი, ჯერ უცნობია, „სლოვანი" კი მისმა ასისტენტმა მირსად ალილოვიჩმა ჩაიბარა.

**ირაკლი პერტაია**



სლოვენიაში მოთამაშე ყველა ქართველმა, მათ შორის ვლადიმერ სტეფანიამაც, ტომო მაჰორიჩის ხელში გამოიარა

ეროვნული ბიბლიოთეკა






# ჩხუბი ჩაიშალა

## ტაისონს ნევადაში ბრძოლა აუკრძალეს



REUTERS ლას ვეგასიდან

მაიკ ტაისონი

**მოხდა** ის, რაც მოსალოდნელიც იყო: ნევადის ათლეტთა საქმეების კომისიამ ოთხი ხმით ერთის წინააღმდეგ მაიკ ტაისონს შტატის ტერიტორიაზე ჩხუბი დაუშალა, არ მისცა ლიცენზია, რომელიც ამ შტატში საკრივო საქმიანობის უფლებას იძლევა და რომელიც ტაისონს მას მერე ჩამოერთვა, ევანდერ ჰოლიფილდს ყური რომ მოაჭამა.

ამით 6 აპრილს ლას ვეგასის „ემჯიემ გრანდში" გამოცხადებული 150 მილიონ დოლარად შეფასებული ორთაბრძოლა ტაისონსა და ლენოქს ლუისს შორის, ფაქტობრივად, ჩაიშალა.

„მე ვიცოდი, რომ ლიცენზიას არ აღმიდგენდნენ. რამდენი წელიწადია, ნევადაში არ მიჩხუბია. მაგრამ ჩემმა მრჩეველმა შელი ფინკელმა დაიჩემა, — თქვა ტაისონმა სამსაათიანი მოსმენის შემდეგ — რატომ იქცევი ასეო. მე, რა, დედა ტერეზა კი არა ვარ. ცხოვრების უფლებას ხომ არ წამართმევენ? მიზეზად ის მოიდეს, რომ პრესკონფერენციის წინ ჩხუბი მოგვიხდა. მშვენივრად ვიქცეოდი, მაგრამ ლუისის მცველს ნერვებმა უმტყუნა და ხომ არ გავჩერდებოდი? მკითხეს, ჰავანაში ჟურნალისტებს რატომ ეჩხუბეო. ვუპასუხე, მათი ქცევა თავდასხმად ჩავთვალე-მეთქი".

ხუთკაციანი კომისიის ერთ-ერთმა წევრმა, ტონი დამატომ კი განაცხადა: „ძალიან მინდოდა ლუის — ტაისონის ბრძოლა სწორედ ლას ვეგასში გამართულიყო. სამწუხაროდ, მაიკის ქცევა და სულიერი მდგომარეობა გვაშფოთებს".

კომისიის თავმჯდომარემ, ლუთერ მეკმა ჰკითხა ტაისონს, მეგობრები რას გეუბნებიან, როცა ასე იქცევიო.

„მეგობარი არასოდეს მყოლია", — მიუგო მოკრივემ — „ცხოვრებამ ასეთ კაცად მაქცია და რა ვქნა? ორასი მილიონი ვიშოვე კრივით, ვინ იშოვა ამდენი?"

ამასობაში კი დიდი ბრძოლის მომწყობნი ორთაბრძოლის გადარჩენის გზებს ეძებენ.

იქნებ საქმე ისე წავიდეს, რომ კრივი ევროპაშიც გაიმართოს, მაგრამ ჯერჯერობით უცნობია ლუისის ბანაკის აზრი დიდი ორთაბრძოლის მომავალზე.

„მე დიდი ყურადღებით უნდა შევისწავლო კომისიის გადაწყვეტილება, — უთქვამს ლუისს — ეგებ მართლაც მოხდეს ჩვენი შერკინება სხვა იურისდიქციის ქვეშ. მე ვეთათბირები ჩემს ადვოკატებს, რათა კარგად შევისწავლო პრობლემა".

ნევადის კომისიის გადაწყვეტილების მიუხედავად, ტაისონის კვლავაც რჩება საბჭოს (ვბკ) ნომერ პირველ პრეტენდენტად და საჩემპიონო ორთაბრძოლა ერგება. ამიტომ საბჭოს უფროსობამაც უნდა ეძებოს გამოსავალი და ბრძოლის გამართვის საშუალება გამონახოს.

ეს სკანდალი მოჰყვა ნიუ იორკის ჰადსონის თეატრში მომხდარ ჩხუბს, როცა ტაისონმა მუშტი-კრივი აუტეხა ლუისს.

„მან პროვოკაცია მოაწყო. ჩხუბი ატეხა, რათა როგორმე ჩაეშალა გამოცხადებული ბრძოლა — თქვა ლუისმა — მერე ნევადის კომისიის წინაშე წარდგა და ტყუილები დაახვავა. ეს გამიზნული იყო. არ უნდოდა ნევადის ლიცენზია და არ მიიღო".

კომისიის სხდომის შემდეგ ტაისონმა განაცხადა, რომ არ იცის, შეხვდება თუ არა ოდესმე ლუისს რინგზე და ეს დიდად არ აწუხებს, რადგან ლუისი მხდალი კაცია.

„სადმე ქუჩაში შევხვდები ლენოქსს და იქ ვცემ".

სად შეხვდება ტაისონი ლუისს?

**ალბერტ ხაჩატურიშვილი**



REUTERS ლას ვეგასიდან

ნევადის ათლეტთა კომისიამ მაიკ ტაისონს ლას ვეგასში ჩხუბი მეორედ აუკრძალა



# მარტინა და ანა იქადნებიან

## ერთად თამაშს კი დროებით წყვეტენ

ტოკიო (იაპონია)
PAN PACIFIC OPEN
დარბაზი. ხალიჩა
საპრიზო 1,22 მილიონი $

უაღრესად დრამატული და მისთვის ავბედითად დასრულებული მელბურნული ფინალის შემდეგ მარტინა ჰინგისს ორდღიანი დეპრესია სწვევია. დეპრესიას თურმე 4 მატჩ-პოინტი ჰქონია და 21 წლის გოგოს 6:0 მოგებით ემუქრებოდა. გოგონას გაუძლია და მერე მხიარულად უთქვამს: „ჩოგბურთი სწორედ იმითაა კარგი, რომ ის არასოდეს თავდება".

მელბურნიდან ტოკიოში სათამაშოდ გადაფრენილ მარტინას სახეზე აღარც დაღლილობა ეტყობოდა და აღარც გაწბილება: „რაც იყო, იყო. კოჭზე გადატანილი ოპერაციის შემდეგ ეს წელი ჩემთვის წარმატებულადაც კი დაიწყო. ახლა მხოლოდ ერთი მიზანი მაქვს — კლასიფიკაციაში ისევ პირველ ადგილზე დავბრუნდე".

საამისოდ მას, პირველ რიგში, ტოკიოში მოგება სჭირდება, ტურნირზე, სადაც აქამდე 97, 99 და 2000 წლებშიც უმარჯვია, ხოლო ორჯერ ფინალამდეც მისულა.

თუკი გერმანელ მარლენ ვაინგარტნერთან მისი გუშინდელი თამაშის მიხედვით ვიმსჯელებთ, ჰინგისის სიტყვები, რომ მელბურნული მოგონებები წარსულს ჩაბარდა და ახლა იგი მთლიანად ამჟამინდელ საქმეებზეა კონცენტრირებული, საფუძველს მოკლებული არ უნდა ჩანდეს. გერმანელის წინააღმდეგობის გადალახვა მან 47 წუთში მოახერხა და უმნიშვნელო პრობლემები მხოლოდ მეორე სეტში შეექმნა, როცა 3:0-ზე თავს მოდუნების უფლება მისცა და ორი საკუთარი გეიმი წააგო.

მეოთხედფინალში ჰინგისი მეექვსე ნომრად განთესილ ბულგარელ მაგდალენა მალეევასა და ტაილანდელ ტამარინე ტანასუგარნს შორის უძლიერესს შეხვდება.

დღის მეორე შეხვედრაში ავსტრიელი ბარბარა შეტის მოსარევად მსოფლიოს მე-12 ჩოგანსა და ტოკიოში მეოთხედ განთესილ ფრანგ სანდრინ ტესტიუს თითქმის 2 საათის ღლაბუცი დასჭირდა.

საპირველწრეო შეხვედრებში კი მეხუთედ განთესილმა იტალიელმა სილვია ფარინა ელიამ რუსი ტატიანა პანოვა გაისტუმრა, ხოლო მეშვიდედ განთესილმა რუსმა ელენა დემენტიევამ იაპონელ საორი ობატას სძლია და ახლა თანამემამულე ანა კურნიკოვასთან დაპირისპირება მოუწევს.

ქალთა რეიტინგში 99-ე ადგილამდე ჩასრიალებული კურნიკოვა, ვისაც მარცხენა ფეხის უმძიმესი ტრავმის გამო შარშან 8 თვე გაუცდა, ახლა თავს ჩინებულად გრძნობს და ზეათეულში დაბრუნებას იქადნის. „პირველ შეხვედრებში თავს ახალბედასავით ვგრძნობდი — ამდენი ხნის განმავლობაში ხომ ბატიბუტის ჭამისა და კინოების ყურების მეტი არაფერი მიკეთებია. ახლა კი ისე ვარ, როგორც თევზი წყალში. თუმცა ჯერ კიდევ ბევრი მატჩის გამართვა დამჭირდება, რათა ჩემი შესაძლებლობების 100 პროცენტი გამოვამჟღავნო" — უთქვამს ანას.

სხვათა შორის, ტოკიოში კურნიკოვასა და ჰინგისს მხოლოდ ცალ-ცალკე ვიხილავთ. „სფაის-წყვილის" შემოქმედების დროებით შეწყვეტა მარტინამ ძალების დაზოგვის აუცილებლობით ახსნა.

ტურნირზე არ გამოვლენ ტრავმებით შეურვებული ამერიკელები, მსოფლიოს მეორე ჩოგანი ლინდსი დევენპორტი და მეექვსე სერენა უილიამსი.

ჰინგისის გარდა წლევანდელი PAN PACIFIC OPEN-ის ფავორიტებად იუგოსლავიელ ელენა დოკიჩსა (№2) და მესამედ განთესილ ამერიკელ მონიკა სელეშს მიიჩნევენ.

**პირველი წრე**

**ელს კალენსი** (ბელგია) — აგი სუგიამა (იაპონია) 1:6, 6:2, 6:4; **სილვია ფარინა ელია** (5, იტალია) — ტატიანა პანოვა (რუსეთი) 6:4, 7:5; **ელენა დემენტიევა** (7, რუსეთი) — საორი ობატა (იაპონია) 6:3, 6:3; **ალექსანდრა სტივენსონი** (აშშ) — კატარინა სრებოტნიკი (სლოვენია) 6:1, 6:4; **ანა კრემერი** (ლუქსემბურგი) — ელენა ლიხოვცევა (რუსეთი) 4:6, 6:1, 6:3

**მეორე წრე**

**მარტინა ჰინგისი** (1, შვეიცარია) — მარლენ ვაინგარტნერი (გერმანია) 6:1, 6:2; **სანდრინ ტესტიუ** (4, საფრანგეთი) — ბარბარა შეტი (ავსტრია) 4:6, 7:5, 7:5



REUTERS ტოკიოდან

ავსტრალიაგამოტირებულმა მარტინა ჰინგისმა ტოკიოში რიხით დაიწყო

მილანის ღია პირველობა
დარბაზი. ხალიჩა
საპრიზო 381 000 $

ტურნირის შარშანდელ გამარჯვებულ როჯერ ფედერერს ავსტრიელ შტეფან კუბეკთან მხოლოდ პირველ სეტში გაუჭირდა, როცა საქმე სატაიბრეიკოდ და საჭიდაოდ გაუხდა. მეორეში კი კუბეკმა ავსტრალიის პირველობის მეოთხე-წრემდე გაღწეულ შვეიცარიელს ჩოგანი საკადრისად ველარ შეუბრუნა და ხალიჩა დატოვა. ახლა ფინალისკენ მიმავალ საგზურს ფედერერს რუსი ნიკოლაი დავიდენკო შეეცილება.

უკვე ორი მატჩი მოათავა ბრიტანელმა გრეგ რუზეცკიმ — პირველ წრეში ძლეულ ესპანელ კლავეტს მან ჩეხი ულირახიც მიაყოლა. მეოთხედფინალში მას ბრაზილიელ ანდრე სასა და ჰოლანდიელ სხენგ შალკენსს შორის უმჯობესთან შებმა მოუწევს.

გუშინ გვიან უნდა ეთამაშათ ტურნირზე პირველ ნომრად განთესილ ესპანელ ხუან კარლოს ფერეროსა და შარშანდელი უიმბლდონის ამკლებ გორან ივანიშევიჩს. პირველი მილანის შარშანდელ ფინალისტს ჟულიენ ბუტიერს უნდა გამკლავებოდა, მეორეს კი ალბათ ჩეხი მიხალ ტაბარა უნდა გაეტყიპა.

**ლევან ძელაურაძე**

28 იანვარი. პირველი წრე

**იუნეს ელ აინაუი** (5, მაროკო) — კრისტიან პლესი (დანია) 4:6, 6:3, 7:6 (9:7); **ნიკოლა ესკუდე** (საფრანგეთი) — კრისტოფ როშუ (ბელგია) 4:6, 6:3, 6:4; **ჰიშამ არაზი** (8, მაროკო) — მიხაელ იუჟნი (რუსეთი) 7:6 (7:1), 2:6, 6:3; **გრეგ რუზეცკი** (7, ბრიტანეთი) — ფრანსისკო კლავეტი (ესპანეთი) 7:5, 6:3

29 იანვარი. პირველი წრე

**როჯერ ფედერერი** (2, შვეიცარია) — შტეფან კუბეკი (ავსტრია) 7:6 (7:2), 6:3

30 იანვარი. მეორე წრე

**გრეგ რუზეცკი** (7, ბრიტანეთი) — ბოგდან ულირახი (ჩეხეთი) 7:6, 6:4



AP ტოკიოდან

ანა კურნიკოვამ
ფეხი ძველებურად გაშალა

# კლოდ სორელი ფრანგულად ბრაზობს და ქართულად ამხნევებს

## გია ლაბაძეს აქლემის მოთვინიერება არ აპატიეს

### მაგის მეტი არაფერი გაგიტყდეს, ლევან


ბადრი კეთილაძის ფოტო

ბორჯღალოსნები წლეულს პირველად გუშინ შეიკრიბნენ

**გუშინ** საქართველოს მორაგბეთა ნაკრები სრულად, აქაურ-ლეგიონერებიანად შეიკრიბა და 3 თებერვალს ჰოლანდიელთა წინააღმდეგ მატჩისთვის მზადებას შეუდგა.

ბორჯღალოსნები მათთვის კარგად ნაცნობ სასტუმრო „ხედში" დაბინავდნენ და გუშინვე ვარკეთილში, სარაგბო სკოლა „ორბელი-ლელოს" მოედანზე ივარჯიშეს. კლოდ სორელს ადრე დასახელებული 24-კაციანი შემადგენლობა შეუთხელდა. თავიდანვე ცნობილი იყო, რომ ირაკლი აბუსერიძე, ვასილ აბაშიძე და გრეგუარ იაშვილი ტრავმების გამო ჰოლანდიელებთან მატჩს გამოტოვებდნენ. ახლა მათ ქართველ „ლომთა" მონათლული ვასილ კაცაძეც დაემატა. ბორჯღალოსანთა უკანახაზელს ამ უქმეებზე საფრანგეთის ჩემპიონატში უთამაშია და ფეხი უტკენია. არადა, კაცაძე ექვსთვიანი მკურნალობის შემდეგ ახლახან დაუბრუნდა მოედანს: აგვისტოში მხრის რთული ოპერაცია გაიკეთა. ვერ ითამაშებს მორკინალი გია ლაბაძეც, რომელსაც მცირე ტრავმის გარდა გაცილებით უფრო სერიოზული პრობლემა აქვს: ხანგრძლივი დისკვალიფიკაცია ემუქრება. საქმე ისაა, რომ ლაბაძეს საფრანგეთის პირველობაზე მავანი მეტოქე გვარიანად შემოელახა. იმ საცოდავს ბორჯღალოსნისთვის შეურთხებია, ლაბაძემაც აქლემის ამ უშნოდ მიმბაძველს ჯერ მემკვიდრის ყოლის საკითხი გაუხადა საეჭვო, მერე კი ბარაქიანი აპერკოტით მიწას გააკრა. ლაბაძის საკითხს ახლა საფრანგეთის რაგბის კავშირის სადისციპლინო კომიტეტი იხილავს. ადვილი მოსალოდნელია, ქართველი მორაგბე ექვსთვიანი დისკვალიფიკაციით დასაჯონ. სასჯელი ნაკრებზეც ვრცელდება და თუ ასე მოხდა, ბორჯღალოსანთა ერთ-ერთი ლიდერი არა მარტო ჰოლანდიელებთან, არამედ ერთია თასის ყველა მატჩს გამოტოვებს. ლაბაძე ახლა საფრანგეთშია და იქ მოისმენს განაჩენს.

დანარჩენები ჯანზე არიან და „ტიტებთან" საპაექროდ სრული დატვირთვით ემზადებიან. თერთმეტი საათი სრულდებოდა, როდესაც ორი მიკროავტობუსი „ორბელი-ლელოს" სარაგბო სკოლას მოადგა. იქიდან ბორჯღალოსნები ჩამოვიდნენ და სავარჯიშოდ გასწიეს. მათ შორის არ იყო ლევან ცაბაძე, იგი მოგვიანებით გამოჩნდა, თუმც არ უვარჯიშია. ცაბაძის უვარჯიშებლობა ტრავმის ბრალი არ იყო: ლევანს ბინის კარის საკეტში გასაღები ჩაუტეხავს, რის გამო ვარჯიშზეც დააგვიანა და ვერც სავარჯიშო ფორმა წამოიღო.

სუსხიან ქარში ბორჯღალოსნები გახურებას შეუდგნენ. ჯერ ბურთის აქეთ-იქით თამაშით შეიქციეს თავი, მერე ფიზმომზადების მწვრთნელ ტიერი რუდილის ირგვლივ შეიკრიბნენ და მისგან პირველი მითითებები მიიღეს. რუდილიმ ჯერ გაწელვები და აზიდვები „გამოუწერა" შეგირდებს, მერე თავისი მრავალფეროვანი ვარჯიშებიდან რამდენიმე ელემენტის შესრულებაც დაავალა, ბოლოს კი ძუნძულით ორიოდ წრის გარბენა მოსთხოვა. რუდილი თავადაც შეუერთდა მორაგბეებს და მოედანს შემოურბინა.


ბადრი კეთილაძის ფოტო

უნდოდა ლევან ცაბაძეს ვარჯიში, მაგრამ...

ამის შემდეგ ბორჯღალოსნები კლოდ სორელმა მიიხმო და ვარჯიშიც გახურდა. სორელმა გუნდი ორ მწკრივად განალაგა და დაცვაში მწყობრად გადაადგილებაზე ავარჯიშა. ვერ გეტყვით, რა არ მოსწონდა სორელს, მაგრამ საკმაოდ ხშირად ხმამაღლა გამოხატავდა უკმაყოფილებას. „ალე, ალეს" (მიდი, მიდი) და „მონტეს" (ავიდა) ძახილით ფრანგმა კარგა ხანს არბენინა შეგირდები. შიგადაშიგ ქართულადაც გამოურევდა ხოლმე — აქ მოდით, ხაზად, ბურთი მომეცით, ეს ქართული ფრაზები კარგად უსწავლია ბორჯღალოსანთა დამრიგებელს.

ერთსაათიანი ვარჯიშის შემდეგ სორელმა ორმხრივი თამაშიც გააჩაღა. აქცენტი აქაც შეტევიდან დაცვაში გადაწყობაზე გააკეთა. სორელი კვლავ უკმაყოფილო დარჩა შეგირდთა გარჯით და რამდენჯერმე შემოსწყრა კიდეც მათ. ბორჯღალოსანთა მწვრთნელმა იქამდე არბენინა შეგირდები, სანამ არ დარწმუნდა, რომ მისი მითითებები შეისმინეს და ყველაფერი ნორმალურად გააკეთეს.

როდესაც სორელმა მორაგბეების წვრთნით გული იჯერა, ბურთის წრეში ხელით გათამაშება დაავალა, ცოტა ხანში კი ვარჯიშის დასასრული აუწყა ქანცგაცლილ მორაგბეებს, მათაც ქარში არ გავცივდეთო და უმალ მიკროავტობუსებს მიაშურეს.

ბორჯღალოსნები დღესაც მიაკითხავენ „ორბელი-ლელოს" მოედანს და ორჯერ ივარჯიშებენ. სანამ სორელი 22-კაციან საბრძოლო რაზმს დაასახელებს, მანამდე მის განკარგულებაში ეს მორაგბეები არიან:

*მორკინალები: ლევან ცაბაძე, მევლუდ მთიულიშვილი, აქვსენტი გიორგაძე, ლევან ჯაველიძე, ტარიელ რატიანიძე, გოდერძი შველიძე, ვანო ნადირაძე, ვიქტორ დიდებულიძე, ზურაბ მჭედლიშვილი, დავით ბოლღაშვილი, ილო ზედგინიძე, ბესიკ უდესიანი, გიორგი ჩხაიძე.*

*უკანა ხაზი: შოთა მოდებაძე, გუჯა იოვაძე, პალიკო ჯიმშელაძე, თედო ზიბზიბაძე, კახა ალანია, გიორგი ბუგიანიშვილი, მალხაზ ურჯუკაშვილი, ბადრი ხეხელაშვილი, ბესიკ ხამაშურიძე, ირაკლი მაჩხანელი.*

**ბაჩო სვანიძე**



## უილიამსი

გუნდი დაარსდა 1968 წელს
გენერალური დირექტორი: სერ ფრენკ უილიამსი
ტექნიკური დირექტორი: პატრიკ ჰედი
BMW-ს სპორტული დირექტორი: გერჰარდ ბერგერი
ბოლიდი: „უილიამს FW24"
ძრავა: P82 BMW - V10
საბურავები: „მიშელინ პილოტი"
ფორმულა 1-ში ასპარეზობს 1972 წლიდან
438 რბოლა, 107 მოგება, 112 პოული, 118 უსწრაფესი წრე, 2111,5 ქულა
ჩემპიონის ტიტული — 7; კონსტრუქტორთა თასი — 9
2001 წელს გუნდმა დაიკავა III ადგილი (80 ქულა)
ტესტ-პილოტები: მარკ ჟენე და ანტონიო პიცონია



**რალფ შუმახერი**
**გერმანია**
დაიბადა 1975 წლის 30 ივნისს ჰურტ-ჰერმილცჰაიმში.
ცხოვრობს მონტე კარლოში
სიმაღლე 178 სმ, წონა 73 კგ
ცოლშვილიანი
დებიუტი ფორმულა 1-ში: ავსტრალიის დიდი პრიზი (1997)
პირველი გამარჯვება: სან მარინოს დიდი პრიზი (2001)
83 რბოლა, 3 მოგება, 1 პოული, 5 უსწრაფესი წრე, 135 ქულა
ჩემპიონატში საუკეთესო შედეგი — მეოთხე ადგილი (2001)
ასპარეზობდა „ჯორდანში" (1997-98)
„უილიამსშია" 1999 წლიდან



**ხუან პაბლო მონტოია**
**კოლუმბია**
დაიბადა 1975 წლის 20 სექტემბერს ბოგოტაში. ცხოვრობს მონტე კარლოში
სიმაღლე 168 სმ, წონა 72 კგ
უცოლო
დებიუტი ფორმულა 1-ში: ავსტრალიის დიდი პრიზი (2001)
პირველი გამარჯვება: იტალიის დიდი პრიზი (2001)
17 რბოლა, 1 მოგება, 3 პოული, 4 უსწრაფესი წრე, 31 ქულა
2001 წელს დაიკავა VI ადგილი
„უილიამსშია" 2001 წლიდან

# სერ უილიამსმა ბიჭები გაალღვიძა

FORMULA 1

**ფრენკ უილიამსის** გუნდი სამწლიანი თვლემისა და მისთვის შეუფერებელი უხეირო, ანუ უმოგებო ჯირითის შემდეგ, როგორც იქნა, გამოცოცხლდა და საყოველთაო ყურადღების ცენტრშიც მოექცა.

„უილიამსის" შარშანდელმა ოთხგამარჯვებიანმა სეზონმა პრაქტიკულად ყველა უწინდელივით „დიდ სამეულზე" აალაპარაკა — სერ ფრენკ უილიამსის საჯინიბო „ფერარის" და „მაკლარენს" საკადრის კონკურენციას გაუწევსო. ცხადია, საჩემპიონო ამბიციებზე რეალური საუბარი ჯერ აშკარად ნაადრევია, მაგრამ 2001 წლის შთამბეჭდავი შედეგიანობის გათვალისწინებით, ბრიტანულ-გერმანული გუნდის მომავალი მეტად იმედიანი ჩანს — ბობოლა „სკუდერიისა" და „მაკლარენისთვის" ოთხი დიდი პრიზის წართმევა, ამას გარდა ოთხი პოულისა და რვა უსწრაფესი წრის მითვისებაც სახუმარო საქმე არ გახლავთ.

რალფ შუმახერმა და ახალბედა ხუან პაბლო მონტოიამ თავიანთ კარიერაში პირველი დიდი პრიზები მიითვალეს, რითაც შესამჩნევად აამაღლეს საკუთარი რეიტინგიც და გუნდისაც. ისე, კოლუმბიელი ხუანი, რომელიც შარშან ქვეყნის საუკეთესო სპორტსმენად აღიარეს, ფორმულისთვის თუ ჩაითვლება დებიუტანტად, თორემ მანამდე ამერიკულ კარტში ასპარეზობისას არც გამარჯვება აკლდა (მათ შორის ინდიანაპოლისის 500-მილიან ზემარათონში) და არც იქაური საჩემპიონო ტიტული. რა გასაკვირია, რომ სამეფო რბოლებშიც მხრებგაშლილი და იქნებ ზედმეტად ამბიციურადაც მოვიდა, ყოველ შემთხვევაში, თანაგუნდელთა ურთიერთობა თავიდანვე მამლაყინწობას დაემსგავსა — პირველობა ორივეს უნდოდა. სალიდერო ამბიციები მათ დღესაც არ მოჰკლებიათ, თუმც ვითარება აშკარად უფრო მშვიდობიანი გახდა და ხუანიც და რალფიც საკუთარი პრესტიჟისთვის ბრძოლის ფონზე გუნდურ ინტერესებსაც არ ივიწყებენ.

პატარა შუმის სადღეისოდ სხვა პრობლემა აწუხებს, იგი მხედველობის დაქვეითებას უჩივის. მართალია, არც ისეა საქმე, რომ რბოლებს საერთოდ ჩამოშორდეს, მაგრამ ასპარეზობისას სათვალის ხმარება მოუწევს. თავიდან თითქოს ეს გადაუჭრელი საკითხი ჩანდა, რადგან მსგავსი პრეცედენტი აქამდე არ ყოფილა და ფიქრობდნენ, ფორმულის მთავარი ექიმი სიდ უოტკინსი ასე ჯირითის ნებას არ დართავსო. როგორც გაირკვა, სამეფო რბოლების კოდექსში მსგავსი ამკრძალავი მუხლი არ ყოფილა, ასე რომ, 3 მარტს, წლევანდელი ჩემპიონატის პირველ ეტაპზე, რალფ შუმახერი ამერიკაში საგანგებოდ მისთვის დამზადებული სათვალით გამოვა.

„უილიამსმა" ახალი ბოლიდი საზოგადოებას ინგლისში, ლეგენდარული „სილვერსტოუნის" ავტოდრომზე წარუდგინა. წინამორბედისგან სრულიად განსხვავებული ძრავა ბევრად საიმედო, ღონიერი და ამასთან მსუბუქიცაა. სხვა არაფერი უთქვამთ. გასაგებია, რომ ინფორმაცია გასაიდუმლოებულია და დანარჩენს სულ რაღაც ერთ თვეში, მელბურნის ავტოდრომზე რბოლისას შევიტყობთ.

**გია ახალაძე**




„უილიამსით" წლეულსაც რალფ შუმახერი და ხუან პაბლო მონტოია იჯირითებენ

NHL. რეგულარული ჩემპიონატი

# ვინ ვინ და კევინ



სანხოსელ ბრედ სტიუარტთან შეჯახების მერე ტორონტოელი ალექსანდრ მოგილნი მოედნიდან ხელით გასაყვანი შეიქნა

REUTERS ტორონტოფოტო

29 იანვარი

**აილენდერსი 1:3 ნიუ ჯერსი 1:2 0:1 0:0**

**0:1 არნოტი (14), 0:2 ელიაში (16), 1:2 მილერი (16), 1:3 შოლიკი (31)**

ნიუჯერსელთა ახალმა თავკაცმა კევინ კონსტანტინმა პირველი გამოცდა ხუთიანზე ჩააბარა. რაიმე რადიკალურ ცვლილებებზე ლაპარაკი ჯერ, ცხადია, ნაადრევია, მაგრამ ფაქტი კია: ნიუ ჯერსის უკლებლივ ყველა ლიდერმა ჩინებულად ითამაშა. მარტინ ბრადო და სკოტ სტივენსი დაცვას გაუძღვნენ, ხოლო ელიაშ-არნოტ-სიკორას წამყვანმა სამეულმა ზუსტად იმდენი გაიტანა, რამდენიც წინა ხუთ მატჩში — 2 გოლი.

**კაროლინა 2:2 ბუფალო 0:0 1:1 1:1 0:0**

**0:1 აფინოგენოვი (23), 1:1 ონილი (38), 1:2 გრეტონი (50), 2:2 ბატალია (51)**

წლეულს კაროლინელთა ვეტერან რონ ფრენსისს მიღწევათა მთელი კოლექცია დაუგროვდა. მე-500 გოლს, 1500-ე თამაშსა და ლიგის საუკეთესო ასისტენტთა სიაში მეორე ადგილზე გასვლას ცნობილმა პლეიმეიკერმა წუხელ კიდევ ერთი შემატა: ბეიტს-ბატალიას ასისტენტობამ მას სეზონში 50-ე ქულა მოუტანა. 21 წელი ლიგაში მოასპარეზე ფრენსისისთვის ეს 21-ე (!) შემთხვევაა.

**ფილადელფია 3:2 პიტსბურგი 0:0 1:1 1:0**

**1:0 ლეკლერი (29), 1:1 პეტერსენი (36), 1:2 კოვალიოვი (52), 2:2 პრიმო (60), 3:2 მ. მიურეი (62)**

**ტორონტო 4:3 სან ხოსე 2:0 1:1 1:2**

**1:0 გრინი (5), 2:0 ჰოგლუნდი (18), 2:1 მარვი (29), 3:1 მაკეიბი (34), 4:1 მაკეიბი (42), 4:2 მენენი (52), 4:3 მარვი (57)**

ტორონტოს მოგება ერთ-ერთი ლიდერის — ალექსანდრ მოგილნის ტრავმამ ჩაამწარა. სანხოსელ ბრედ სტიუარტთან შეჯახების შემდეგ რუსმა ზურგი დაიზიანა და ყინული პარტნიორთა დახმარებით დატოვა.

# ბოლოჯამს ნაძრახ-დანანებული

## ჰიჩკოკი? რა კარგი კაცი ეგ იყო
## რობინსონი? აბა, ეგ იყო კაცი



კენ ჰიჩკოკი



ლარი რობინსონი

**სულ** რაღაც სამი დღის განმავლობაში ნჰლ-ის ჩემპიონატის მშვიდი დინება ერთბაშად ორმა სენსაციურმა ამბავმა აამღვრია. პარასკევს დალასმა 1999 წლის თასის მომგები კენ ჰიჩკოკი გაათავისუფლა მწვრთნელის მოვალეობისგან, ორშაბათს კი 2000 წლის ტრიუმფატორ ნიუ ჯერსის თავკაც ლარი რობინსონის ჯერი დადგა.

საშინელებათა ფილმების სახელოვანი რეჟისორის მოგვარეს დიდი დამსახურება მიუძღვის დალასის აღზევებაში. 1996 წელს, როცა ჰიჩკოკი გუნდს სათავეში ჩაუდგა, მინესოტადან ტეხასში ახალგადაბარგებული „ვარსკვლავები" ოდნავადაც ვერ ამართლებდნენ თავიანთ სახელწოდებას. მაგრამ ჰიჩკოკი საქმის კაცი აღმოჩნდა. მწვრთნელს თავისი კონცეფცია ჰქონდა, რომელიც მისი მითითებების უზუსტეს შესრულებაზე, მკაცრ დისციპლინასა და დაცვის უაღრესად გაძლიერებაზე იყო დამყარებული. გუნდიც აჰყვა ჰიჩკოკს, ყოველ წელს თანდათან უმატებდა და 1999 წელს უმაღლესი მწვერვალიც დალაშქრა. და როცა დალასი მომდევნო სეზონშიც ფინალში გავიდა, ნათელი გახდა, რომ ლიგაში კიდევ ერთი დიდი გუნდი გაჩნდა. როგორც თავად ჰიჩკოკი ამბობს, სწორედ ამ წარმატებებმა დალუპა იგი. მწვრთნელისგან უმაღლეს შედეგებს ნაჩვევმა დალასის ხელმძღვანელობამ მას დროებითი ჩავარდნა არ აპატია. მომდევნო სეზონში „სტარსი" თასის მეორე რაუნდში გავარდა, წლეულს კი, მართალია, საპლეიოფო პოზიცია უკავია, მაგრამ მისგან გაცილებით მეტს ელოდნენ. ზაფხულში გუნდს ბევრი სახელიანი შეემატა, მაგრამ ზოგიერთი უკვე გაუშვეს, ზოგი კი, კერძოდ, პიერ ტარჯონი, იმედს დღემდე ვერ ამართლებს. თუმცა მთავარი მაინც სხვა მიზეზი იყო და მიუხედავად იმისა, რომ ამაზე ხმამაღლა არ საუბრობენ, გარკვეული მოსაზრებანი მაინც გამოითქვა. დალასის კაპიტანმა დერიან ჰეჩერმა ფრთხილად აღნიშნა, რომ ჰიჩკოკის მუშაობის სტილი, ტაქტიკა 1999 წლის შემდეგ სულ არ შეცვლილა. მაგრამ სიმართლე მაინც აწ უკვე ბოსტონელმა ბუნუა ჰოგმა თქვა. მან თამამად გამოაშკარავა თავისი ყოფილი მწვრთნელის ურთიერთობა მოთამაშეებთან. თურმე ჰიჩკოკი მოთამაშეებს ისე ეპყრობოდა, როგორც რობოტებს. ასე იყო თუ ისე, დალასში ჰიჩკოკის ხანა უკვე ისტორიად იქცა და მის შემცვლელად ყოფილი ასისტენტი რიკ უილსონი დაინიშნა.

ჰიჩკოკისგან განსხვავებით, წარსულში დიდებულმა მცველმა ლარი რობინსონმა კარგად იცოდა ჰოკეისტთა შრომის ფასი. ამიტომ მწვრთნელობისას მუდამ მომთმენი და გულისხმიერი იყო. ტყუილად როდი შეარქვეს „მისტერ სანდომიანი ადამიანი". თავის დროზე სწორედ რობინსონის ადამიანურმა თვისებებმა უშველა ნიუ ჯერსის, მით უმეტეს, რომ მისი წინამორბედი ჰიჩკოკივით ავყია რობი ფტორეკი იყო. 2000 წლის მარტში, როცა რობინსონი გუნდში მივიდა, ნიუ ჯერსი ძლიერი კი იყო, მაგრამ თასის გადამწყვეტ ეტაპებზე არ უმართლებდა და „ეშმაკებს" პლეი ოფის გარკვეული კომპლექსიც კი გაუჩნდათ. რობინსონი კარგი ფსიქოლოგი აღმოჩნდა და შეგირდებს ისეთი საბრძოლო სული შთაბერა, ნიუ ჯერსი მომდევნო სეზონში ფინალში გავიდა, მაგრამ იქ უფორსბერგო კოლორადოსთან დამარცხდა. წლეულს კი გუნდს აშკარად არ წაუვიდა თამაში. შთამბეჭდავ სანახაობას უფერული მატჩები ცვლიდა და ნიუ ჯერსი კონფერენციაში მეცხრე ადგილზე დაქვეითდა. სწორედ ამ მომენტში მართებდა რობინსონს სიმკაცრის გამოჩენა და გადიდგულებული მოთამაშეების გონს მოყვანა, მაგრამ როგორც თავად ლარი ამბობს, ის ვერ შეიცვლება და ამიტომ წასვლა უჯობს.

რობინსონის წასვლამ ნიუ ჯერსის ჰოკეისტებს ძალიან დასწყვიტა გული. გუნდის კაპიტანმა სკოტ სტივენსმა ალალად თქვა, რობინსონი ჩინებული პიროვნებაა და მისი დათხოვნა მთლიანად ჩვენს სინდისზეაო.

ნიუ ჯერსის ბოსებმა დალასელი კოლეგებივით დროებითი შემცვლელის ძებნა როდი დაიწყეს, უმალ დანიშნეს ახალი მწვრთნელი. გენერალურმა მენეჯერმა ლუ ლამორელომ არჩევანი კევინ კონსტანტინზე შეაჩერა, რომელიც რობინსონისგან სრულიად განსხვავებული პიროვნება გახლავთ და უფრო ჰიჩკოკს მოგვაგონებს — იგი თვლის, რომ მოთამაშეებს არა ლმობიერება, არამედ ჭკუის დარიგება სჭირდებათ. ლამორელომაც საგანგებოდ შეარჩია ესოდენ დისციპლინის მოყვარული მწვრთნელი, მისი აზრით, ახლა სწორედ ასეთი სპეციალისტი თუ უშველის ნიუ ჯერსის. კონსტანტინი აქამდე სან ხოსეს და პიტსბურგს წვრთნიდა და, სხვათა შორის, გარკვეული წარმატებებიც ჰქონდა, მაგრამ ორივე გუნდის ლიდერები დიდ უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ მისი მუშაობის სტილის გამო. ვნახოთ, როგორააწყობს კევინი საქმეს ვარსკვლავურ ნიუ ჯერსიში.

**სამველ ღარიბიანი**



# აინშტაინის ახალი თეორია: ჭადრაკი და მულტიმედია



ვლადიმირ კრამნიკი ახლებს შეეკრა

**ვლადიმირ კრამნიკს** აღარ ჰქვია მსოფლიოს ჩემპიონი „ბრაიანგეიმზ ნეტუორკის" ვერსიით. გაჭირვებული კომპანიის შეფებმა, რომელთა მთავარი პრობლემა დღიდან ჭადრაკში ჩართვისა ფული იყო, სასურველი გარიგებით მძიმე ლოდი მოიშორეს და საქმეს ჩამოშორდნენ. უფრო ზუსტად, ჩამოშორდნენ სათავეებს და შემოსავალიც (თუ იქნება) სხვის ჯიბეში იდენს, თორემ კომპანიის სპეციალისტთა გამოცდილებაში ჯამაგირებს სიამოვნებით გასცემს ახალი შეფი — მულტიმედიური საერთაშორისო კომპანიების ჯგუფი „აინშტაინ გრუპ", რომელმაც ვლადიმირ კრამნიკთან 5-წლიანი კონტრაქტი დაისაკუთრა.

„აინშტაინ გრუპ" არატრადიციული ბრიტანული ორგანიზაციაა, რომელიც მხოლოდ სამი წლის წინ შეიქმნა უახლესი ტექნოლოგიების საფუძველზე. აქვს საკუთარი ტელეარხი, რომელიც ახლა ბრიტანეთის გარდა გერმანიასა და შვეიცარიაში ფუნქციონირებს და წლეულსვე ევროკავშირის ქვეყნებსა და იქითაც სამ ენაზე გავრცელდება. კომპანია აქტიურია ინტერნეტშიც და სოლიდურ შთაბეჭდილებას ტოვებს.

ოფიციალურ პრესრელიზში, რომელიც გარიგებას ახლდა, „აინშტაინ გრუპის" აღმასრულებელი დირექტორი სტივ ტიმინსი ამბობს, რომ ისინი შექმნიან მყარ სატელევიზიო საფუძველს ვლადიმირ კრამნიკის მომავალი მატჩებისთვის, რაც რეკლამის მსურველებს დააინტერესებს და გარდა ამისა, ჭადრაკი ისედაც დიდ ადგილს დაიკავებს კომპანიის სამეცნიერო და ტექნოლოგიურ პროგრამებში.

„უკვე ვშრომობთ საჭადრაკო პროგრამების და ტურნირების ჩვენს არხსა და ვებგვერდზე წარმოსაჩენად — განაცხადა ტიმინსმა — მსოფლიოს ჩემპიონატები აუცილებლად პირდაპირ ეთერში იქნება".

„აინშტაინ გრუპისაა", კერძოდ, უფლება მატჩზე „კრამნიკი „ფრიცის" წინააღმდეგ", რომელიც ბაჰრეინში შარშან უნდა შემდგარიყო, თებერვლამდე გადაიდო და ვერც ახლა ხერხდება. კიდევ, ორგანიზაცია გამართავს პლანეტის 8 საუკეთესო მოჭადრაკის შესარჩევ ტურნირს დორტმუნდში (ივლისში), სადაც გამარჯვებული 2003 წელს კრამნიკთან მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალს ითამაშებს. ამ საქმისთვის ნახევარი მილიონი დოლარი უკვე არისო, ირწმუნებიან აინშტაინელები და ადასტურებენ მილიონიანი საპრიზო ფონდის არსებობასაც ადამიან — კომპიუტერის ბატალიებისთვის, რომელიც იმავე ბაჰრეინში, ოღონდ ოქტომბრისთვის დაიგეგმა.

კასპაროვის რეაქცია ჯერ უცნობია. მან „ბრაიანგეიმზის" შესარჩევ ტურნირს ოფიციალურად უგანა. საინტერესოა, ჭადრაკის ახლები თუ მოახერხებენ მის დაინტერესებას, ხოლო კრამნიკმა აზრი უკვე გამოთქვა. იგი საკმაოდ აღფრთოვანებული იყო.

„ჯერ არავის უნახავს ამგვარი კომბინაცია მსოფლიო ჭადრაკსა და მულტიმედიის კომპანიას შორის — თქვა მსოფლიოს ერთმა ჩემპიონმა — ეს ჭადრაკის ახალ განზომილებაში გადაყვანას მოასწავებს. როგორც მსოფლიოს ჩემპიონი, დარწმუნებული ვარ, რომ „აინშტაინ გრუპმა" ჭკვიანი ნაბიჯი გადადგა. კომპანიამ იპოვა ბაზრის ყამირი სეგმენტი და ალბათ ჭადრაკს უფრო და უფრო ბევრი ადამიანის თვალსაწიერზე გაიყვანს. ძირითადად ბავშვებს ვგულისხმობ".

გარეგნულად ისე ჩანს, რომ ფიდე-ს ასპარეზზე ღონიერი კონკურენტი გამოუჩნდა.

**დავით გულუა**



ევროპის ჩემპიონატი. ვაჟები შვედეთი

| I ნახევარფინალური ჯგუფი | II ნახევარფინალური ჯგუფი |
|---|---|
| პირველი ტური | |
| შვედეთი 30:26 რუსეთი | საფრანგეთი 26:26 ისლანდია |
| დანია 31:25 ჩეხეთი | გერმანია 19:18 ესპანეთი |
| უკრაინა 23:28 პორტუგალია | იუგოსლავია 24:24 სლოვენია |
| მეორე ტური | |
| შვედეთი 27:22 პორტუგალია | იუგოსლავია 26:34 ისლანდია |
| დანია 21:17 უკრაინა | გერმანია 31:28 სლოვენია |
| რუსეთი 29:20 ჩეხეთი | საფრანგეთი 27:24 ესპანეთი |

სატურნირო ვითარება

| | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| შვედეთი | 4 | 0 | 0 | 115:91 | 8 | გერმანია | 3 | 1 | 0 | 92:88 | 7 |
| დანია | 3 | 1 | 0 | 104:87 | 7 | ისლანდია | 2 | 2 | 0 | 115:101 | 6 |
| რუსეთი | 2 | 1 | 1 | 108:94 | 5 | საფრანგეთი | 2 | 2 | 0 | 90:85 | 6 |
| ჩეხეთი | 1 | 0 | 3 | 97:118 | 2 | ესპანეთი | 1 | 1 | 2 | 91:90 | 3 |
| პორტუგალია | 1 | 0 | 3 | 89:105 | 2 | სლოვენია | 0 | 1 | 3 | 97:101 | 1 |
| უკრაინა | 0 | 0 | 4 | 88:106 | 0 | იუგოსლავია | 0 | 1 | 3 | 91:107 | 1 |

*დღეს, ჯგუფური ეტაპის დასკვნითი მატჩები შედგება, რის შემდეგაც ორ-ორი საუკეთესო გუნდი ნახევარფინალურ და ფინალურ შეხვედრებს გამართავს. ჩემპიონისა და პრიზიორთა ვინაობას კვირას, სამ თებერვალს შევიტყობთ.*

| მესამე ტური | |
|---|---|
| შვედეთი — დანია | იუგოსლავია — ესპანეთი |
| ჩეხეთი — პორტუგალია | გერმანია — ისლანდია |
| რუსეთი — უკრაინა | საფრანგეთი — სლოვენია |




☎ (231) 7 17 58

**იყიდება**

ბინა ინდივიდუალური პროექტით აშენებული რვაბინიანი სახლის მესამე სართულზე. საცხოვრებელი ფართი 250 მ². დამხმარე ფართი 80 მ² პირველ სართულზე.

**ქუთაისში**

ირაკლი აბაშიძის ქუჩაზე №.4 ლუდხანა "სულიაკოსთან"

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ახლა ტოკიოში

ავსტრალიის ღია პირველობას ჩოგბურთში იაპონიის „პან პასიფიკის“ დიდი ტურნირი მოჰყვება ხოლმე. ჰოდა, მწვანე კონტინენტზე ნაჯაფარი გოგონებიც ტოკიოში არიან და, როგორც ჩანს, მხიარულობენ კიდეც ერთობლივ პრესკონფერენციაზე. მოკლედ: იუგოსლაველი ელენა დოკიჩი, შვეიცარიელი მარტინა ჰინგისი და ამერიკელი მონიკა სელეში ჟურნალისტებს ელაზღანდარებიან.





# ძნელი ქალი

ეს ქალი, მოჭიდავეთა შოუს ძველი ვარსკვლავი ჯოან ლურიე ჰოლივუდს ჩასულა. ცრუ ჭიდაობაში ჩაინას სახელით ცნობილს დაუტრაბახებია კიდეც, ჩემთვის სურათის გადაღება ძნელი საქმეაო. მართლაც, ეს ქალი ქუჩაში არ იცნობა, ხოლო შოუებისას გადაღებული ფოტოები ერთგვაროვანია.



# მოსწონებიათ

მოსწონებიათ ბრაზილიელი კუტურიეს რიკარდუ ალმეიდას საშემოდგომო კოლექცია. სან პაულუში გამართულ ჩვენებაზე ინდკერვის ბრაზილიელი ლიდერის პოდიუმზე გამოჩენას ტაშით შეგებებიან ნაომი კემპბელი და ბრაზილიელივე მეფორმულე პედრო პაულუ დინიცი. სპორტული თემატიკა ამ ფოტოზე დინიცის გამოჩენით შემოიფარგლება.

# მოერგო

ერთი კვირაც და სოლტ ლეიკ სიტის ზამთრის ოლიმპიადაც გაიხსნება. სეოკ-ის პრეზიდენტი ჟაკ როგი, რა თქმა უნდა, უკვე იუტაშია. ოლიმპიადის ორგკომიტეტის თავმჯდომარე ფრეზერ ბულოკი კი ახალი ოლიმპიური ქურთუკის მოზომებაში ეხმარება პრეზიდენტს.



REUTERS



# კინოშიც ერთად

რაღაც ერთად სიარულს მოუხშირეს ბორის ბეკერმა და კლაუდია შიფერმა. იმ დღეს ტელეშოუში გამოჩნდნენ ერთად, ახლა მიუნხენში ფილმის პრემიერაზე. რეჟისორ ბერნდ აიხინგერის ფილმს „არ ენდო, ვისთანაც გძინავს“ ჰქვია და იქ ამ ორ გამოჩენილსაც შეუსრულებიათ ეპიზოდური როლები.

# ფორმულაშია



REUTERS

ავსტრალიელი ავტომრბოლი მარკ ვებერი პარიზშია და თანამემამულე მომღერალ დანი მინოგისთან ერთად გვიცინის. ვებერს ახლახან მოუწერია ხელი კონტრაქტზე ფორმულა 1-ის გუნდ „მინარდისთან“ და 1994 წლის შემდეგ პირველი ავსტრალიელი შექმნილა, მეფორმულეობას რომ ეცდება. მისი დებიუტი ავსტრალიისავე დიდი პრიზის გათამაშებისას შედგება 3 მარტს.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია:
რედაქტორი გიორგი დარჯანია
გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ხელმძღვანელი მამუკა გუბელაძე
ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, მალხაზ ჭუმბურიძე
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge